აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№73 (24.953) ხუთშაბათი, 14 - 15 ივლისი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 25-30, შიდამთიან რაიონებში - 23-28, მაღალ მთაში - 17-22 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 23 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

ევროკომისია საქართველოს წევრობის სტატუსის მინიჭების საკითხს 2022 წლის ბოლოს აღარ განიხილავს. საქართველოს საკითხის განხილვა 2023 წლისთვის გადაიდო, ეს განცხადება ევროკომისიის წარმომადგენელმა, ევროპარლამენტის სხდომაზე გააკეთა. „ჩვენ, როგორც ევროპულმა საბჭომ გვთხოვა, ანგარიშს მოვამზადებთ პრიორიტეტებზე გაფართოების პაკეტში 2023 წელს. ეს მისცემს ქართულ პოლიტიკურ სისტემას არსებით დროს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე სამუშაოდ“, - განაცხადა საქართველოს საკითხებზე ჯგუფის ხელმძღვანელმა მიხაელ რუბმა.

* * *

ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დელეგაცია მომავალ კვირას საქართველოს ეწვევა. აღნიშნულის შესახებ ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე დევიდ მაკალისტერმა საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების წლიური ანგარიშის განხილვის დაწყებამდე განაცხადა. თბილისში დისკუსიები აღნიშნული ანგარიშისა და საქართველოს კანდიდატის სტატუსის შესახებ გაიმართება. დელეგაცია საქართველოს გარდა, სომხეთსა და აზერბაიჯანსაც ეწვევა. ცნობისათვის, გუშინ ევროპარლამენტარმა სვენ მიქსერმა ევროპარლამენტში საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესრულებაზე მომზადებული ყოველწლიური ანგარიშის პროექტი წარადგინა.

* * *

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გამოსცა განკარგულება ცესკოს თავმჯდომარისა და ცესკოს წევრის ორ თანამდებობაზე კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადებისა და შესაბამისი საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ. კონკურსი ცხადდება 2022 წლის აგვისტოში ცესკოს თავმჯდომარისა და ცესკოს ორი წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით. აღნიშნული 6-თვიანი ვადა მათ მიმდინარე წლის აგვისტოში ეწურებათ. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ 26 ივლისის ჩათვლით საბუთები წარადგინონ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

* * *

საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა საქართველოში ევროკავშირის ელჩ კარლ ჰარცელთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა, სადაც მაღალი შეფასება მიეცა ბოლო წლებში საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ურთიერთობის დინამიკას. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების ისტორიულ გადაწყვეტილებას, ხაზი გაესვა საქართველოს წარმატებას ევროინტეგრაციის გზაზე.

მოამზადა
ია შველიძემ

„თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ხდება ახლა ჩემს გულში“

რევაზ ჩელებაძეს ვარსკვლავი გაუხსნეს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

გუშინ „აჭარაბეთ არენაზე“ გაიხსნა ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის რევაზ ჩელებაძის სახელობითი ვარსკვლავი. ქართველი თავდამსხმელი სხვადასხვა დროს იცავდა თბილისის „დინამოს“, ლანჩხუთის „გურიას“, ბათუმის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ღირსებას

ის პირველი ქართველი ფერხბურთელია, რომლის ვარსკვლავიც გაიხსნა.

- თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ხდება ახლა ჩემს გულში. მე ვარ უბედნიერესი ადამიანი, რომელსაც ამხელა ვარსკვლავების ქვეყანაში პირველი ვარსკვლავი გაუხსნეს. მერე ბევრს გაუხსნიან და აქ გაკეთდება ვარსკვლავების ხეივანი. ეს დაიწყო და ძალიან კარგია. მადლობა „აჭარაბეთ არენას“, მადლობა აჭარის მთავრობას, ყველას, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ საქმეში. ენაც დამება - ხომ არ ვიტირებ ამხელა კაცი, არადა, სიტყვებს ვერ ვუყრი თავს. დღეს უბედნიერესი ვარ, ჩემს საქართველოს ვენაცვალე, ჩემს აჭარას, რომ ჩემი პატარა წვლილი, რაც ქართულ ფეხბურთში შემიტანია, დღეს ასე დამიფასდა. უფალი გფარავდეთ ყველას. მადლობა, - თქვა რეზო ჩელებაძემ ვარსკვლავის გახსნის შემდეგ.

მოგვიანებით „აჭარაბეთ არენაზე“ უეფას ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრა გაიმართა „დინამო“ (ბათუმი) - „სლოვანი“ (ბრატისლავა) შორის. მათი პირველი შეხვედრა, ბრატისლავაში, 0:0 დამთავრდა.

უფრო ვრცლად ამ მატჩისა და რევაზ ჩელებაძის ვარსკვლავის გახსნის შესახებ ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში წაიკითხავთ.

დაზარალებულებს მთავრობა სარეზერვო ფონდიდან დაეხმარება

აჭარის მთავრობა მოქალაქეებს, რომლებსაც 26 მაისის ქუჩაზე სახლის ჩამონგრევის შედეგად ავტოსატრანსპორტო საშუალებები დაუზიანდა, სარეზერვო ფონდიდან დაეხმარება. აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, დაზარალებული მოქალაქეების კომპენსირებისთვის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან 50 ათასი ლარი გამოიყოფა

გარდა ამისა, აჭარის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწევა ოჯახებს, რომლებიც ხანძრის და ხანძრის ჩაქრობის მიზნით გამოყენებული წყლის ჭავლის შედეგად დაზარალდნენ. მთავრობის გადაწყვეტილებით, 10 ოჯახს 97 835 ლარით დაეხმარებიან.

26 მაისის ქუჩაზე უბედური შემთხვევა 2021 წლის 8 ოქტომბერს მოხდა. საცხოვრებელი კორპუსის ერთი სადარბაზოს ჩამონგრევის შედეგად 6 ადამიანი გარდაიცვალა.

ქართველმა მეზღვაურებმა ღია ზღვაში 52 ადამიანის სიცოცხლე იხსნეს

2

«ასანთის ღერების არქიტექტორი» - ბათუმიდან

5

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ქართველმა მეზღვაურებმა ღია ზღვაში 52 ადამიანის სიცოცხლე იხსნეს

- ინფორმაციას ამის შესახებ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო ავრცელებს. მალტის დროშის ქვეშ მცურავ თურქულ ტანკერზე მყოფმა 18-კაციანმა ეკიპაჟმა, რომელშიც 9 ქართველია, 5-ბალიანი შტორმის დროს, ურთულეს პირობებში, 52 ადამიანი გადაარჩინა. მათ შორის, ორსული და 3 ბავშვია. ისინი, ოკეანის გავლით, აფრიკიდან ესპანეთში გადასვლას ცდილობდნენ

მიგრანტები 3 დღის განმავლობაში ღია ზღვაში, ტივზე საკვებისა და წყლის გარეშე იმყოფებოდნენ. შტორმისა და ცუდი ხილვადობის პირობებში, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, ქართველმა მეზღვაურებმა მათი ბორტზე უსაფრთხოდ აყვანა მოახერხეს და მითითების შესაბამისად, ისევ, აფრიკის სანაპიროებზე დააბრუნებენ.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო გემზე მყოფ მეზღვაურებს დაუკავშირდა სიტუაციის გასარკვევად. როგორც მათ უთხრეს:

„10 ივლისს მაროკოსკენ მივემართებოდით. დაახლოებით საღამოს 6 საათზე ნავი დავინახეთ...

მაშველებს 10 საათზე მეტი უშედეგოდ ველოდით. გემი წრეზე ტრიალებდა, ნავი რომ არ დაგვეკარგა. ამინდიც გაუარესდა. საბოლოოდ, ეკიპაჟმა მიიღო გადაწყვეტილება, მიგრანტები გემზე ამოგვეყვანა. ნავი გემზე მივაბით და დავიწყეთ ხალხის ამოყვანა“...

9 ქართველი მეზღვაური უშუალოდ მონაწილეობდა სამაშველო ოპერაციაში: ნუგზარ ბერიძე, კახა ადამია, დილარ ცეცხლაძე, ზაზა ჭაღალიძე, ზვიად ქობულაძე, მინდია აბუსერიძე, შალვა სვანიძე, მანუჩარ კობალაძე და გიორგი ცეცხლაძე.

2-საათიანი ბრძოლის შემდეგ ამ მეზღვაურებმა ღია ზღვაში, განსაკუთრებული სიმამაცის, ვაჟკაცობის და პროფესიონალიზმის წყალობით 52 ადამიანი გადაარჩინა.

მომავალ წელს საქართველო მათ „ზღვაზე გამოჩენილი განსაკუთრებული სიმამაცისათვის“ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) ჯილდოზე წარადგენს.

ეს ჯილდო პირველად 2015 წელს არქიმანდრიტ ილია კარტოზიას გადაეცა გარდაცვალების შემდეგ. მამა ილია იტალიაში, ქ. ბარიში, წმ. ნიკოლოზის საფლავის მოსალოცად მიემგზავრებოდა. 2014 წლის 28 დეკემბერს, იტალიურ ბორან „Norman Atlantic“-ზე ხანძრი გაჩნდა. ცეცხლმოდებული გემიდან მაშველებს მგზავრები ნავებზე გადაჰყავდათ, მან თავისი ადგილი ბავშვიან ქალს დაუთმო და თავად გემბანზე დარჩა. მამა ილიას გადარჩენა მაშველებმა ვეღარ მოახერხეს. გემზე 500-მდე ადამიანი, მათ შორის 8 საქართველოს მოქალაქე იმყოფებოდა. 2018 წელს კი ეს ჯილდო კაპიტან ლევან მამალაძეს და მის ეკიპაჟს გადაეცა, რომლებმაც 13 ადამიანი გადაარჩინეს.

მოამზადა
ანკა ჩხიკვაძემ

ბათუმელი მსმენელის წინაშე ანსამბლი „რეხეული“ წარსდგა

ზიძრია დავლაძე 579 25 25 72

ქართული საგალობლები, სხვადასხვა ქართული და უცხოური პოპულარული სიმღერა ყოღრდა ბათუმში ოზურგეთის კულტურის ცენტრთან არსებულ ქალთა ვოკალურ ანსამბლ „რეხეულის“ კონცერტზე, რომელიც მათივე შემოქმედებით საღამოზე რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. ანსამბლის შექმნის ისტორია ასეთია: თული ფოლკლორი, ევროპული მუსიკიდანაც გვაქვს რამდენიმე ნომერი. ვმონაწილეობთ გაცვლით პროგრამაში, რათა გავაცნოთ ჩვენი რეპერტუარი სხვადასხვა ქალაქს, - გვითხრა ანსამბლის ხელმძღვანელმა ნათია გორდელაძემ.

ოზურგეთის კულტურის ცენტრი არაერთ საინტერესო ღონისძიებას აანონსებს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები

სოფელ ლიხაურს ძველად რეხეული ერქვა, ანსამბლის წევრების უმეტესობა სწორედ ამ სოფლიდანაა. შესაბამისად, ფოლკლორულ ანსამბლს „რეხეული“ დაარქვეს. მისი წევრები მგალობლები იყვნენ, ერთ დღესაც გადაწყვიტეს, გალობის გარდა სხვადასხვა კომპოზიცია შეესრულებინათ და მათი შესაძლებლობები საქართველოს ყველა კუთხის მსმენელისთვის ეჩვენებინათ.

- ძირითად რეპერტუარში შედის ქალაქური მუსიკა, გალობა, ქართული ფოლკლორი, ევროპული მუსიკა. ვმონაწილეობთ გაცვლით პროგრამაში, რათა გავაცნოთ ჩვენი რეპერტუარი სხვადასხვა ქალაქს, - გვითხრა ანსამბლის ხელმძღვანელმა ნათია გორდელაძემ.

ოზურგეთის კულტურის ცენტრი არაერთ საინტერესო ღონისძიებას აანონსებს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები

ერთ-ერთ წარმატებულ და მნიშვნელოვან ღონისძიებად სწორედ ბათუმში გამართულ შემოქმედებით საღამოს ასახელებენ.

- როგორც მოგეხსენებათ, კონცერტით გამოვდიგართ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. დღეს ავირჩიეთ ბათუმი, სადაც საინტერესო რეპერტუარი წარმოვადგინეთ. გვინდა პოპულარიზაცია გავუწიოთ ანსამბლს, სიმღერებს. ასევე, დაგეგმილი გვაქვს საანგარიშო კონცერტი, რომელიც მიმდინარე წლის ბოლოს გაიმართება და მასზე გამდიდრებული რეპერტუარით წარსდგება ანსამბლი. მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ბათუმელი მსმენელი ერთ-ერთი გამორჩეულია თავისი გემოვნებითა და კულტურით. სიამოვნებაა ასეთი მსმენელის წინაშე გამოსვლა, - განაცხადა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა კობა ბანძელაძემ.

ანსამბლ „რეხეულის“ კონცერტზე მსმენელებს შორის, რასაკვირველია, უმეტესად კულტურის სფეროს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

- ეს კონცერტი ჩემთვის განსაკუთრებულია. ძალიან ნიჭიერი და წარმატებული ანსამბლია. ზოგადად, ჩვენი კუთხე, აჭარის რეგიონი არ არის მსგავსი გემოვნებიანი კონცერტებით განებივრებული. ერთგვარი სიამოვნებაა ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის, ვუსმენ შერეულ რეპერტუარს, რაც მოსაწყენს და ერთფეროვანს არ ხდის მუსიკალურ წარმოდგენას. დიდი მოლოდინი მაქვს, რომ სხვადასხვა კომპოზიტორის მიერ დაწერილ მეტ მუსიკალურ კომპოზიციას წარმოგვიდგენენ, ასევე ფოლკლორულ რეპერტუარს. წარმატებები მინდა ვუსურვო მათ შემოქმედებით კარიერაში, - გვითხრა აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის წევრმა გიორგი ჩხარტიშვილმა.

ბათუმში ანსამბლი „რეხეული“ კონცერტს აგვისტოშიც გამართავს. მუსიკალური წარმოდგენა კიდევ უფრო მრავალფეროვანი რეპერტუარით საზაფხულო თეატრში გაიმართება.

გამარჯვებული პროექტი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

წელს შუახევის მუნიციპალიტეტის მერია მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამას საპილოტედ დაბა შუახევში ახორციელებს. მისი მხარდამჭერია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) პროგრამის - „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ ფარგლებში, რომლის საინფორმაციო მხარდამჭერი კი „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი“. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს პირდაპირი დემოკრატიის პროცესს, რომლის საშუალებითაც ხალხი თავად წარმართავს დიალოგს, იღებს გადაწყვეტილებას ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, ზრდის ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას მოსახლეობის წინაშე და უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების თანაბარ, სამართლიან გადანაწილებას.

თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მზარდია მოქალაქეთა ჩართულობა-მოწოდებაში: „აქციე იდეა რეალობად!“ მონაწილეობითი ბიუჯეტი მოქალაქეებს აძლევდა შესაძლებლობას, თავად გადაეწყვიტათ, რა პროექტი განხორციელებულიყო დაბაში.

დაბა შუახევის „მონაწილეობით ბიუჯეტის“ პროგრამის ფარგლებში იდეების კენჭისყრა დასრულდა. გამარჯვებული პროექტი - „შუახევში მუსიკალური ბენდის ჩამოყალიბება“ გახდა. იდეის ავტორები არიან ქეთი დავითაძე და ლიზა პაქსაძე. გამარჯვებული პროექტი შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტიდან დაფინანსდება, რისთვისაც 60 000 ლარია გამოყოფილი.

ვიზიტით – ლატვიაში

„ერასმუს+“-ის პროგრამის ფარგლებში, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ნავიგაციის და საინჟინრო ფაკულტეტის წარმომადგენლები სამუშაო-სასწავლო ვიზიტით, რიგაში ლატვიის საზღვაო აკადემიას ეწვივნენ.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაცია ლატვიის საზღვაო აკადემიის რექტორს ქრისტინა ცარევს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს საზღვაო სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივებზე და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობაზე.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის დელეგაციამ დაათვალიერა ლატვიის საზღვაო აკადემიის მეზღვაურთა სასწავლო და საწვრთნელი ცენტრი, საწვრთნელი გემი, ლიეპის საზღვაო კოლეჯი.

ანკა ჩხიკვაძე

ტექნოლოგიებში ქალების მხარდასაჭერად...

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი და გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ტექნოლოგიებში ქალების დასაქმების ხელშეწყობისთვის, დღეს სასტუმრო Rooms Hotels Tbilisi-ში მასშტაბურ ფორუმს მართავს.

ფორუმი პროექტის „500 ქალი ტექში“ ნაწილია და მასში მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე მოქმედი 50 კომპანია იღებს. კერძო სექტორის წარმომადგენლები ტექნოლოგიების სფეროთი დაინტერესებულ ქალებს ლოკალურ და გლობალურ ბაზარზე არსებულ სხვადასხვა ვაკანსიასა და დასაქმების შესაძლებლობებს გააცნობენ. საგულისხმოა, რომ ბიზნესკომპანიების უმეტესი ნაწილი გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპების ხელმომწერია და ამ პრინციპების მხარდაჭერის ფარგლებში, ქალების გადამზადებას, სტაჟირებასა და დასაქმებას მუდმივად უწყობს ხელს.

„ფორუმის მონაწილე ქალებს საშუალება ექნებათ, უშუალოდ პოტენციური დამსაქმებლებისგან მოისმინონ ინფორმაცია სასურველი ვაკანსიების შესახებ და, დაინტერესების შემთხვევაში, კარიერული განვითარებისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგან. აღსანიშნავია, რომ დასაქმების ფორუმს დაესწრებიან ის უკრაინელი ქალები და გოგოები, რომლებიც საქართველოში უკრაინაში მიმდინარე ომის შემდეგ ჩამოვიდნენ და ახლა პროექტის ფარგლებში ციფრულ მარკეტინგსა და ციფრული პროდუქტის ტესტირებას სრული დაფინანსებით სწავლობენ.

პროექტი „500 ქალი ტექში“, რომლის ფარგლებშიც ფორუმი ჩატარდება, ტექნოლოგიების სფეროში ქალების მეტ ჩართულობას ემსახურება. იგი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ, 20-ზე მეტი ბიზნესკომპანიის ჩართულობით, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში, პირველი ნაკადის მონაწილეებმა ტექნოლოგიებისა და ინგლისური ენის ინტენსიური კურსები, კარიერული ბუთქემფი და მეწარმეობის შესახებ სემინარები გაიარეს, პრაქტიკული დავალებები შეასრულეს და ინდივიდუალურ მენტორინგში მონაწილეობა მიიღეს“, - ნათქვამია გუშინ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ინფორმაციისთვის: *„500 ქალი ტექში“ პროექტის „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კომპონენტის ნაწილია, რომელიც ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ხორციელდება.*

ამირან გურიელიძე

დაშინების აქტი – როგორ ისჯებიან რუსეთში სიმართლისთვის

მოსკოვის რაიონულმა სასამართლომ 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა მუნიციპალური საბჭოს დეპუტატ ალექსეი გორინოვს, რომელსაც რუსეთის პროკურატურამ ბრალი დასდო რუსული არმიის შესახებ "ალბი ინფორმაციის" გავრცელებაში. მოსამართლემ განაჩენი გამოიტანა რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 207.3 მუხლზე დაყრდნობით

ეს მუხლი, რომლის სრული სახელია „რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ სანდო შეტყობინებების საფარქვეშ შეგნებულად ყალბი ინფორმაციის საჯარო გავრცელება“, უკრაინაში რუსეთის ჯარების შეჭრის შემდეგ, 2022 წლის 4 მარტს მიიღეს. ალექსეი გორინოვმა მუნიციპალური საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას რუსეთის არმიის მოქმედებას უკრაინაში „ომი“ უწოდა, ნაცვლად თავდაცვის სამინისტროს მიერ ოფიციალურად განსაზღვრული „სპეციალური სამხედრო ოპერაციისა“. ალექსეი გორინოვის საქმე პირველი შემთხვევაა, როცა 207.3 მუხლით ბრალდებულ მოქალაქეს პატიმრობა მიესაჯა.სასჯელი უფრო მკაცრი, 15 წლამდე პატიმრობაც, შეიძლებოდა ყოფილიყო, მით უფრო, რომ პროკურატურა 60 წლის დეპუტატს დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენას ედავებოდა. გამოძიების მტკიცებით, „ალექსეი გორინოვმა დანაშაული ჩაიდინა წინასწარი განზრახვით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებითა და მტრობით“.2022 წლის 15 მარტს, დეპუტატთა საოლქო საბჭოს ღია სხდომაზე, გორინოვმა გააკეთა განცხადება, რომელიც, პროკურატურის მტკიცებით, „შეიცავდა ყალბ მონაცემებს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შესახებ“.

ალექსეი გორინოვის სიტყვა: „ვფიქრობ, ეს გეგმა არ უნდა იქნეს მიღებული. რა სახის დასვენებასა და გართობაზე შეიძლება ვისაუბროთ, როცა ყველანი გადავედით თვისებრივად განსხვავებულ ცხოვრების წესზე, როცა საომარი მოქმედებები მიმდინარეობს მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, როცა ჩვენი ქვეყანა ახორციელებს აგრესიას? რა საბავშვო ნახატების კონკურსზე შეიძლება ვისაუბროთ ან გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ საცეკვაო პროგრამების ორგანიზებაზე, როდესაც ყოველდღიურად იღუპებიან (უკრაინაში უკვე 100-მდე ბავშვი დაიღუპა) ან ობლდებიან ბავშვები, როდესაც მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა შვილიშვილები და შვილთაშვილები ახლა უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების ჯოჯოხეთში არიან ჩაცვენილი. მიმაჩნია, რომ სამოქალაქო საზოგადოების მთელი ძალისხმევა მხოლოდ ომის შეჩერებისა და უკრაინის ტერიტორიიდან რუსული ჯარების გაყვანისკენ უნდა იყოს მიმართული. გეგმის პუნქტები ამ საკითხებს რომ დათმობოდა, სიამოვნებით დავუჭერდი მხარს. ამ სახით, მე პირადად, კენჭისყრაში მონაწილეობას არ მივიღებ... ვფიქრობ, ეს არის სამოქალაქო საზოგადოების მთავარი საკითხი - შეჩერდეს ომი, გამოვიდნენ ჯარები მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიიდან და შეჩერდეს აგრესიული მოქმედებები“.

გორინოვს მხარი დაუჭირა ერთადერთმა კოლეგამ, დეპუტატმა ელენა კოტენოჩკინამ, რომლის წინააღმდეგაც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კოდექსის იმავე მუხლით, თუმცა კოტენოჩკინამ რუსეთიდან გაქცევით უშველა თავს.

ალექსეი გორინოვმა „დანაშაული“ 15 მარტს ჩაიდინა. სამართალდამცავები მისი საქმიანობით მხოლოდ აპრილის პირველ რიცხვებში დაინტერესდნენ, სავარაუდოდ, მას შემდეგ, რაც რუსეთის დამსახურებულმა არტისტმა მარია შუკშინამ (ცნობილი რეჟისორისა და მწერლის ვასილი შუკშინის უფროსმა ქალიშვილმა) დეპუტატი არაპატრიოტიზმის ნიშუშად დაასახელა და სოციალურ ქსელში დაწერა: „აი, ასეთი დეპუტატები გვყავს! თანაც არა სადმე, არამედ პირდაპირ კრემლის ცხვირწინ“.

26 აპრილს სამართალდამცავებმა საოლქო საბჭოს შენობაში დეპუტატის სამუშაო ოთახის კარი შეამტვრიეს და ყველა სახის კომპიუტერული ტექნიკა წაიღეს. 26 აპრილსვე ჩატარდა ჩხრეკა გორინოვის სახლში, საიდანაც დეპუტატი საგამოძიებო იზოლატორში წაიყვანეს.

გამოძიებისა და სასამართლო პროცესის მსვლელობისას ალექსეი გორინოვი პატიმრობაში რჩებოდა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ადვოკატის თხოვნა პატიმარი გირაოთი გაეთავისუფლებინათ, მიუხედავად იმისა, რომ განსასჯელი ტუბერკულოზით არის ავად. განაჩენის გამოცხადების წინ, უკანასკნელ სიტყვაში, ალექსეი გორინოვმა კვლავ რუსეთის მიერ წამოწყებულ ომზე ილაპარაკა:

„დარწმუნებული ვარ, რომ ომი არის დეჰუმანიზაციის ყველაზე სწრაფი საშუალება, როცა იშლება ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის. ეს ყოველთვის სიკვდილია, არ ვიღებ და უარვყოფ მას. ეს მასწავლა ჩვენმა წარსულმა. მიმაჩნია, რომ რუსეთმა ომების ლიმიტი ამოწურა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში, თუმცა, ახლა ჩვენი აწმყო ბუჩა, ირპენი და გოსტომელია. ეს სახელები გეუბნებათ რამეს? თქვენ გედებათ ბრალი! დაინტერესდით, მოგვიანებით რომ არ თქვათ, არ ვიცოდითო. რუსეთი ხუთი თვის განმავლობაში აწარმოებს საომარ მოქმედებებს მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მას მორცხვად უწოდებს სპეციალურ სამხედრო ოპერაციას. გამარჯვებას და დიდებას გვპირდებიან. მაშინ რატომ გრძნობს ჩვენი ამდენი თანამოქალაქე სირცხვილსა და დანაშაულს? რატომ დატოვა ბევრმა ადამიანმა რუსეთი და რატომ მიდიან დღემდე? რატომ გაუჩნდა ჩვენს ქვეყანას ამდენი მტერი? იქნებ ჩვენშია მიზეზი? იქნებ რამე გვჭირს? მოდი, ვიფიქროთ! საშუალება მაინც მოგვეცით, ვისაუბროთ იმაზე, რაც ხდება. აზრები გავცვალოთ, ეს ხომ ჩვენი კონსტიტუციური უფლებაა....“

ალექსეი გორინოვმა სასამართლოში წარმოთქმული უკანასკნელი სიტყვა მართლმსაჯულებაზე საუბრით დაასრულა: „1991 წლის აგვისტოში, პუტჩის დღეებშიც დეპუტატი ვიყავი. სხვა დამცველებთან ერთად რუსეთის უმაღლესი საბჭოს შენობასთან, თეთრ სახლთან ვიდექი. მაშინ მომავალს ვიცავდით, უფლებას, გვეცხოვრა თავისუფლად, რაც ნიშნავს თავისუფლად საუბარს, აზრების გამოთქმას, ინფორმაციის მიღებას და გაზიარებას. მაშინ რომ ეთქვათ, ოცდაათი წლის შემდეგ სიტყვისა და გამოთქმული აზრის გამო სისხლის სამართლის მუხლით გაგასამართლებენო, არ დავიჯერებდი. მიზეზები იმ სამწუხარო შედეგისა, რომელსაც ჩვენი საზოგადოება მიუახლოვდა, მოითხოვს ისტორიკოსების ყურადღებას და საფუძვლიან ანალიზს, მოითხოვს არა მხოლოდ გააზრებას, არამედ დასკვნების გამოტანას, რაც ადვილი არ იქნება. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ომი ომია. უნდა უზრუნველვყოთ დაზარალებულების რეაბილიტაცია და დამნაშავეების გასამართლება. უნდა აღვადგინოთ ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის კეთილი სახელი. მანამდე კი ვუსურვებ ჩვენს მთავრობას კეთილგონიერებას, სასამართლოს კი - სიბრძნეს; ყველას, ვინც რეპრესიების ახალ ტალღაში მოჰყვება, ვუსურვებ მედგრად ყოფნას, ისევე როგორც მთელ უკრაინელ ხალხს; საკუთარ თავს ვუსურვებ უკრაინაში რუსეთის ელჩობას, ხოლო ყველას, ვინც უშუალოდ ან შორიდან დამიჭირა მხარი - გულის გაუტეხლობას!“.

რუსმა უფლებადამცველმა მარინა ლიტვინოვიჩმა ტელეკომპანია RTVI-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ალექსეი გორინოვისთვის გამოტანილ განაჩენს საჩვენებელი უწოდა.

„ეს განაჩენი მიზნად ისახავს, პირველ რიგში, დეპუტატებისა და საჯარო მოხელეების დაშინებას. ამიტომ არის განაჩენში ხაზგასმით ნათქვამი, რომ გორინოვი დეპუტატია. ხელისუფლების სულ უმნიშვნელო წარმომადგენელსაც კი ესმის უკვე, რომ სპეცოპერაციის წინააღმდეგ ერთი სიტყვაც კი არ უნდა დაცდეს, თუ არადა მიიღებს საჩვენებელ 7 წელს შრომა-გასწორების კოლონიაში“, - განაცხადა რუსმა უფლებადამცველმა.

ალექსეი გორინოვი პირველია, ვისაც პატიმრობა მიუსაჯეს სისხლის სამართლის კოდექსში ნაჩქარევად შეტანილი 207.3 მუხლის დარღვევისთვის. აქამდე პასუხისგებაში მიცემულ ორ ადამიანს სასამართლომ ჯარიმა და პირობითი პატიმრობა აკმარა. 2022 წლის 30 მაისს ამიერბაიკალის სასამართლომ 1 მილიონი რუბლით დააჯარიმა პეტრე მელნიკოვი, რომელმაც, ბრალდების თანახმად, სოციალურ ქსელში, როგორც საჯარო ჯგუფის „მე ვცხოვრობ ნანგრევებში“ ადმინისტრატორმა, არაერთი ფალსიფიცირებული ტექსტი გამოაქვეყნა რუსეთის თავდაცვის სამინისტროზე.

2022 წლის 1 ივნისს იალტის სასამართლომ 5 წლით პირობითი პატიმრობა მიუსაჯა რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს ყოფილ თანამშრომელს ანდრეი სამოდუროვს, რომელიც, განაჩენის მიხედვით, 2022 წლის 14 მარტს დადიოდა ბინიდან ბინაზე და მოსახლეობას ევაკუაციისკენ მოუწოდებდა, რადგან „შეერთებული შტატების რაკეტები და თვითმფრინავები უკვე მიფრინავენ ყირიმისკენ უკრაინაში დაწყებული ომის გამო“.

ალექსეი გორინოვისთვის გამოტანილმა განაჩენმა საგამოძიებო იზოლატორში მიუსწრო ოპოზიციონერ პოლიტიკოსსა და გორინოვის კოლეგას მუნიციპალურ საბჭოში ილია იაშინს, რომელმაც არ დამალა, რომ სასამართლოს ვერდიქტმა გააოგნა და, ცოტა არ იყოს, შეაშინა კიდეც:

ილია იაშინი მოსკოვის სასამართლოში: „რასაკვირველია, ვინც გორინოვის საქმე ჩაიფიქრა, იმას სწორედ ასეთი ეფექტის იმედი ჰქონდა. ეს არის დაშინების აქტი. აშინებენ დამოუკიდებელ დეპუტატებს არჩევნების წინ: დარწმუნებული ხართ, რომ უნდა წამოაყენოთ თქვენი კანდიდატურა? ხედავთ, რა შეიძლება დაგემართოთ? აშინებენ მოქალაქეებს, რომლებიც სოციალურ ქსელებში საუბრობენ: იქნებ თქვენც გინდათ უკან მიჰყვეთ შვიდი წლით? მაშინებენ, რა თქმა უნდა, პირადად მეც. გორინოვი ჩემი ახლო მეგობარია, მრავალი წელია ერთ გუნდში ვმუშაობთ. მისთვის გამოტანილი ველური განაჩენი, უდავოდ შავი ნიშანია, რომელიც ჩემ წინ მაგიდაზე დადეს“.

მოსკოვის რაიონული სასამართლოს განაჩენი დაგმო უკრაინაში ომის მხარდამჭერმა და ტერმინ „სპეცოპერაციის“ დამკვიდრების მომხრე მემარცხენე პოლიტიკოსმა, სერგეი უდალცოვმა.

„ალექსეი გორინოვს დიდი ხანია ვიცნობ, ის მართლაც პრინციპული და გულისხმიერი ადამიანია. არ ვიზიარებ მის პოზიციას დონბასში სპეცოპერაციის შესახებ, მაგრამ აზრის გამოთქმისთვის 7 წლით თავისუფლების აღკვეთა პირდაპირი გზაა დიქტატურისაკენ. ალექს, მაგრად დადექი!“, - დაწერა სერგეი უდალცოვმა, მოძრაობა „წითელი ახალგაზრდობის ავანგარდის“ ლიდერმა სოციალურ ქსელში.

ისტორიკოსმა ანდრეი ზუბოვმა გაიხსენა „ვერმოკლული ალექსეი ნავალნისა“ და ასევე „ვერმოკლული ვლადიმირ კარა-მურზას“ გასამართლებები. სამივე მათგანი სრულიად ყალბი, ფეიკ-ბრალდებებით გაასამართლეს.

„სისულელეა აღშფოთება - ხუთი წელი, სამი წელი, შვიდი წელი. თუნდაც სამი ათასი წელი იყოს. რუსეთში სასამართლო აღარ არსებობს. არის ხელისუფლების აღვირახსნილი თვითნებობა და არიან მანტიამოსხმული უბადრუკი კაცუნები, რომლებიც სხვების დაწერილ განაჩენებს კითხულობენ, - ამბობს ისტორიკოსი, - ერთადერთი გონივრული კითხვა ეხება არა უდანაშაულო მსჯავრდებულთა სასჯელის მოცულობას - დიდია თუ ისე რა, არამედ იმას, თუ როდის და როგორ დაინგრევა ამაზრზენი სისტემა, რომელიც წარმოშობს ყალბ სასამართლოს, ცრუ და ხარბ ხელისუფლებას, ომსა და სიკვდილს. ესაა მნიშვნელოვანი. სანამ ხელისუფლება არ დაინგრევა, ნებისმიერი შეიძლება იოლად იქცეს მის მსხვერპლად. როგორც 1918 წელს, როგორც 1929 წელს, როგორც 1937 წელს და ნებისმიერ წელს 1917 წლიდან მოყოლებული დღემდე“.

„ომის“ ხსენებისთვის ასეთი მკაცრი სასჯელის დაწესება ბევრს აფიქრებინებს რუსეთში, რომ კრემლის მოქმედებას უკრაინაში არ ჰყავს იმდენი მხარდამჭერი, რამდენსაც „სოციალური გამოკითხვები“ აჩვენებს. ყოფილი დისიდენტი და ადამიანის უფლებათა დამცველი ალექსანდრ პოდრაბინეკი მიიჩნევს, რომ 8 ივლისს კრემლის თავზე ტერორის მორიგი დროშა აფრიალდა.

უცხოეთი

აშშ-ის და იაპონიის ფინანსთა მინისტრებმა რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის სანქციების შემდგომი გაძლიერების გზები განიხილეს. ჯანეტ იელენი და შუნიჩი სუძუკი შეთანხმდნენ რუსული ნავთობის ფასზე ლიმიტის დაწესების საკითხზე, რათა შეიზღუდოს მოსკოვის მოგება და ენერგორესურსებზე ფასები შემცირდეს. „არსებობს სხვადასხვა გლობალური პრობლემა. გვსურს მაქსიმალურად გამოვიყენოთ დღევანდელი შეხვედრა, რათა გავაღრმავოთ ჩვენი კოორდინაცია მათ მოსაგვარებლად“, - განაცხადა სუძუკიმ ჟურნალისტებთან საუბრისას.

* * *

Sky News-ი დიდ ბრიტანეთში „კონსერვატიული პარტიის“ ახალი ლიდერის არჩევნების პირველ ტურში გასული კანდიდატების ვინაობას აქვეყნებს. სააგენტოს ინფორმაციით, 8 კანდიდატს შორის არიან: ხაზინის ყოფილი ხელმძღვანელი რიში სუნაკი; ვაჭრობის მინისტრი პენნი მორდაუნტი; თემთა პალატის საგარეო ურთიერთობათა სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარე ტომ ტუგენდჰატი; საგარეო საქმეთა მინისტრი ლიზ ტრასი; ინგლისისა და უელსის გენერალური პროკურორი სუელლა ბრეივერმანი; ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ჯერემი ჰანტი; თანასწორობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ყოფილი მინისტრი კემი ბადენოხტი; განათლების ყოფილი მინისტრი ნადჰიმ ზაჰავი. გუშინ, ხმის მიცემის პროცედურის შედეგად, კანდიდატების რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდა. საბოლოო ჯამში, პრეტენდენტების რაოდენობა 2-მდე უნდა შემცირდეს. გამარჯვებულის ვინაობა 5 სექტემბერს გახდება ცნობილი.

* * *

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი სამშაბათს თეირანში თავის თურქ და ირანელ კოლეგებს - რეჯეფ თაიფ ერდოღანსა და ებრაჰიმ რაისის შეხვდება. უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, ეს საზღვარგარეთ პუტინის რიგით მეორე ვიზიტი იქნება. მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს რუსეთის პრეზიდენტი ცენტრალური აზიის ქვეყნებს ეწვია.

* * *

ირანი ემზადება რუსეთისთვის ასობით უპილოტო საფრენი აპარატის, მათ შორის, დრონების მისაწოდებლად, - ამის შესახებ ინფორმაციას თეთრი სახლი ავრცელებს. აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების მრჩევლის ჯეიკ სალივანის თქმით, აქვთ ინფორმაცია, რომ „ირანის მთავრობა ემზადება, რუსეთს რამდენიმე ასეული უპილოტო საფრენი აპარატი დაჩქარებულ ვადებში მიაწოდოს“.

* * *

გერმანიის მთავრობამ გამოაქვეყნა იარაღის სისტემების, აღჭურვილობის და სხვა ლეტალური და არალეტალური იარაღით დახმარების სია, რომელიც უკრაინას ქვეყანაში რუსეთის შეჭრის შემდეგ გადაეცა. სია მოიცავს 3000 ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნს, 14900 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმს, 500 ერთეულ პორტატულ სარაკეტო სისტემას, 2700 ერთეულ საჰაერო თავდაცვის სისტემას, 7 თვითმავალ ჰაუბიცას, 21.8 მილიონ ვაზნას, 100 ათას ხელყუმბარას, დრონის საწინააღმდეგო 10 იარაღს, 280 ავტომობილს და სხვა.

გვერდი მოამზადა
ია შველიძემ

ერის სულის სარკე

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საუკუნეებით გამომუშავებული წეს-ჩვეულებები ტრადიციებად იქცევა და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ერის კულტურას. დიახ, ტრადიციები სწორედაც ერის სულის სარკეა. ცივილიზაციის განვითარების კვალობაზე ტრადიციებიც იცვლება, მრავალი ინარჩუნებს სიცოცხლეს, ბევრიც კი მიუღებელი ხდება

დღეს, როცა განვითარების ახალ ფაზაში შევდივართ, საინტერესოა ტრადიციებისადმი ჩვენი დამოკიდებულება. მაინც, როგორ გვესმის ტრადიციები და ნოვატორობა, რა უნდა დავივიწყოთ, რა შევინარჩუნოთ და რა დავამკვიდროთ? - სწორედ ამ კითხვებზე პასუხების მიღებას ისახავს მიზნად ჩვენი დღევანდელი სტატია. მათ ორი რესპონდენტი უპასუხებს. ამ თემაზე საუბარს საზოგადოებისათვის ცნობილ ადამიანებთან შემდგომშიც შემოგთავაზებთ.

დღეს ჩვენი რუბრიკის სტუმრები არიან ცნობილი პოეტი მარი ყელენტი და ბსუ-ის ასოცირებული პროფესორი ინეზა ზოიძე.

მარი ქლენტი:

- ვინ ჩამოთვლის, მაგრამ რამდენიმეს მაინც ვიტყვი: 1. საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას სამაგიეროს გადახდის (ნებისმიერი ფორმით) და შურისძიების წესი; 2. მოისპოს თანამედროვე ქელეხები, რომლებსაც გლოვასა და წასული ადამიანის პატივისცემასთან არაფერი აქვს საერთო; 3. ჩემთვის სრულიად ველური ჩვეულებაა სასაფლაოებზე საჭმლის გატანის და იქ ტრაპეზობის უმსგავსო რიტუალი. ეს, უბრალოდ, სირცხვილია!; 4. წლობით შავების ტარება. სხვათა შორის, ეს ტრადიცია არცერთ ერში არ არის; 5. ქალის, ბავშვის მიმართ უპატივცემულობა და ზემოდან ყურება, მით უფრო, მათი ჩაგვრა; 6. ეს პუნქტი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია! - ყოველივე უცხოურის გაფეტიშება და ეროვნულზე მაღლა დაყენება, საცხოვრებელ კორპუსებში, აივნებზე და საერთო სივრცეებში ძველი ავეჯის, ნამუსრავის თუ ხარახურის დაგროვება და ამაზრზენი „ინსტალაციების“ შექმნა; 7. საერთო ეზოების კერძო ავტოფარეხებით გადაჭედვა და სხვა... შევინარჩუნოთ და შემოვიღოთ! 1. ნათელ-მირონობის, ნათლიისგან ნათლულზე გარკვეული პასუხისმგებლობის, და-ძმობილობის ტრადიცია; 2. გაჭირვებული მეზობლის კოლექტიურად დახმარების წესი; 3. ტრანსპორტსა თუ საზოგადოებრივ ადგილებში უფროსისათვის ადგილის დათმობა და არა - პირიქით, როგორც ეს რამდენიმე წლის წინ შემოიღეს და დაამკვიდრეს უგულო ადამიანებმა; 4. აუცილებლად შემოვიტანოთ და სავალდებულო გავხადოთ გარემოს სისუფთავეზე თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობა ისე, რომ ადამიანს მოთხოვნილებად ექცეს ქუჩის, ეზოს, სახლის, სადარბაზოს, აივნების ესთეტიკური სილამაზე და სრულყოფილება. 5. სირცხვილად ჩაითვალოს უგონობამდე თრობა და ალკოჰოლის ჭარბი გამოყენება; 6. შეიქმნას, ისე, როგორც სხვა ქვეყნებშია, მძლავრი და არა თვითონ დასახმარებელი, სოციალური ინსტიტუტები, მოხუცების, ობლების, შშმ პირთა რეალური პატრონობისთვის; 7. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, ვინ და რას ასწავლის ჩვენს ბავშვებს, სასწავლო პროგრამებს, რომელიც კრიტიკას ვერ უძლებს. მართალია, ტაბუ უნდა აეხსნას ზოგიერთ საკითხს, მაგრამ ეს უნდა გააკეთონ ქართული მენტალიტეტის მცოდნე ადამიანებმა, მოზარდის ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური მზაობის გათვალისწინებით... რაც ყველაზე მთავარია! - დროა, მოვსპოთ ქუჩებში ისტერიული, პოლიტიკური „ბერიკაობის“, სტვენის, ყაყანის (მაპატიეთ გამოთქმა) და სამარცხვინო სეირის გამართვა! რასაკვირველია, გამოხატვის თავისუფლებას არ ვეხები! ვისწავლოთ (თქვენთან ერთად, მეც) ოპონენტთან, მტერთანაც კი, ღირსეული ოპონირება და გონებადამჭდარი საუბარი! ვისწავლოთ მტრისა და მოყვრის გარჩევა, საკუთარი ქვეყნის, ერის და საკუთარი თავის პატივისცემა! მერწმუნეთ, ყოველივე ამის გათვალისწინება გაცილებით მისაღებს, ლამაზსა და სასიამოვნოს გახდის ჩვენს ყოველდღიურობას!

მართალია, ტაბუ უნდა აეხსნას ზოგიერთ საკითხს, მაგრამ ეს უნდა გააკეთონ ქართული მენტალიტეტის მცოდნე ადამიანებმა, მოზარდის ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური მზაობის გათვალისწინებით... რაც ყველაზე მთავარია! - დროა, მოვსპოთ ქუჩებში ისტერიული, პოლიტიკური „ბერიკაობის“, სტვენის, ყაყანის (მაპატიეთ გამოთქმა) და სამარცხვინო სეირის გამართვა!

ინეზა ზოიძე:

- ინდივიდი, პირველ რიგში, სოციალური არსებაა და მას აქვს სოციალური და არა - ინდივიდუალური ვალდებულებები. ინდივიდებს ერთმანეთთან აკავშირებთ მზრუნველობა და თანამშრომლობა, რასაც დაწერილ კანონებთან ერთად არეგულირებს დაუწერელი ნორმები ღირებულებებისა და ტრადიციების სახით, რაც თვითკონტროლის უმაღლესი გამოხატულებაა. ხშირ შემთხვევაში, როგორც დაწერილი კანონი, ასევე დაუწერელი ნორმა უპირისპირდება ინდივიდუალური თავისუფლების თემას, რაც საზოგადოებაში წარმოქმნის განსხვავებულ შეხედულებებს თავისუფლებისა და მორალის ურთიერთკავშირის შესახებ. როგორ შევათავსოთ პიროვნების სუვერენიტეტის იდეა ინდივიდის თვითნებობასა, ან, თუ გნებავთ, თავნებობის ხიფათთან? მართებულია თუ არა ადამიანის ნების თავისუფლება თვითშეგნებიდან გამოვიყვანოთ (ეს უკანასკნელი კითხვა შოპენჰაუერს ეკუთვნის)? მაგრამ მაინც, ჩვენი ღრმა რწმენით, თავისუფლება არის არა საკუთარი სურვილების განურჩეველი დაკმაყოფილებისკენ მიმართული ქმედება, როგორც ბევრს დღემდე ჰგონია, არა იმის კეთება, რაც მომეხასიათება და რაც მინდა (ეს იგივე მონობაა, ოღონდაც საკუთარი ვნებებისა და ახირებების მონობა), არამედ ქმედება, რომლისკენაც ზნეობა, ადამიანის სულიერი თვალი, მიგვითითებს და გვიბიძგებს (აქედან გამომდინარე, უზნეო ადამიანი ვერ იქნება თავისუფალი). თავისუფალი მაშინ ხარ, როცა შეგიძლია, უნარი გაქვს აკეთო ის, რაც ზნეობრივია; მორწმუნისათვის ეს ნიშნავს ღვთისთვის სათნო ქმედების უნარს - უნარს აკეთოს ის, რაც ღმერთს უნდა. ადამიანის თავისუფლების ხარისხი მით უფრო მაღალია, რაც ნაკლებად ექვემდებარება ბიოლოგიურ ინსტინქტებს, რაც უფრო მეტად ახდენს გავლენას მის ქმედებებზე მისივე სულიერი თვალი, რაც მეტად მოქმედებს ის სულის კარნახითა და საზოგადოებრივი ღირებულებების შესაბამისად. თავისუფლება მაშინაა უმაღლესი ღირებულება, როდესაც საქმე ადამიანებს შორის ურთიერთობებს ეხება, თორემ უკაცრიელ კუნძულზე მყოფი რობინზონ კრუზოსათვის ეს ცნება ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული. დიახ, მას ჰქონდა საკუთარი თავისუფლების გამოყენების შესაძლებლობა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მაგრამ არ იცოდა, რაში გამოეყენებინა ის, თუმცა მდგომარეობა შეიცვალა პარასკევას გამოჩენის შემდეგ. ადამიანი ცხოვრობს ადამიანთა საზოგადოებაში; ყოველი ადამიანის უფლებების განხორციელების საზღვარი სხვა ადამიანთა უფლებები და თავისუფლებებია. მერაბ მამარდაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „თავისუფლებაა, როცა ერთის თავისუფლება ემიჯნება მეორისას და მხოლოდ ეს უკანასკნელია მისი არსებობის პირობა“. ვთვლით, რომ თავისუფლება იმაზე მეტია, ვიდრე ეს გარეგანი შეზღუდვაა და მისი შენარჩუნების ყველაზე დიდი მექანიზმი არის თვითკონტროლი, რომლის განხორციელების მექანიზმი კი ტრადიციებია, თუმცა ტრადიციის მნიშვნელობა უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ იმ კონტექსტში, თუ რამდენად გაუძლო დროს, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად ადეკვატურია დროსთან მიმართებაში. სწორედ აქ უპირისპირდება ერთმანეთს ტრადიცია და ნოვატორობა, რაც აუცილებელია საზოგადოების გადარჩენისთვის. რამდენადაც საზოგადოება ცოცხალი ორგანიზმია: იბადება, იზრდება და კვდება, ანუ მისთვის მნიშვნელოვანია არა სტატიკურობა, არამედ დინამიკურობაც (ცვალებადობა). შესაბამისად, ტრადიცია უნდა მოვიდეს თავსებადობაში ნოვატორულ აუცილებლობასთან და მხოლოდ უკვე არსებულის კონსერვირებას არ უნდა ემსახურებოდეს. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრადიცია ეს აუცილებელი პირობაა იდენტობის, თვითმყოფადობის და საზოგადოებრივი სტაბილურობის გადარჩენისათვის, თუმცა ჩვენ უნდა შეგვეძლოს ტრადიციის იმ ნაწილის ღირებულების დონეზე აყვანა, რაც დროის მოთხოვნებისა და საზოგადოებრივი განვითარების ადეკვატურია. მას არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა.

ვთვლით, რომ თავისუფლება იმაზე მეტია, ვიდრე ეს გარეგანი შეზღუდვაა და მისი შენარჩუნების ყველაზე დიდი მექანიზმი არის თვითკონტროლი, რომლის განხორციელების მექანიზმი კი ტრადიციებია, თუმცა ტრადიციის მნიშვნელობა უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ იმ კონტექსტში, თუ რამდენად გაუძლო დროს, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად ადეკვატურია დროსთან მიმართებაში. სწორედ აქ უპირისპირდება ერთმანეთს ტრადიცია და ნოვატორობა, რაც აუცილებელია საზოგადოების გადარჩენისთვის

უკრაინა

ხერსონის ოლქში უკრაინულმა ავიაციამ მოწინააღმდეგის საბრძოლო მასალის საცავებსა და პირად შემადგენლობაზე დარტყმა განახორციელა, - ინფორმაციას ოპერატიული სარდლობა „სამხრეთი“ ავრცელებს. „ჩვენმა ორმა მოიერიშე თვითმფრინავმა ხერსონის ოლქის ნოვოპეტრივკას რაიონში დარტყმა განახორციელა საბრძოლო მასალის საცავსა და მტრის კონცენტრაციაზე. ნოვოპეტრივკას მახლობლად ხერსონის რაიონში“, - აღნიშნულია ინფორმაციაში. მათივე ცნობით, სარაკეტო და საარტილერიო დანაყოფების მიერ საცეცხლე ამოცანების შესრულებისას განადგურდა 30 რუსი ოკუპანტი, ერთი ჰაუბიცა, „ურაგანის“ მრავალჯერადი სარაკეტო სისტემა, 4 ერთეული ჯავშანტექნიკა, ასევე, საბრძოლო მასალების ორი საცავი.

* * *

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, უკრაინელი მებრძოლების წარმატებისა და რუსული დანაკარგების მიუხედავად, მტერს ამ დრომდე არ ჰყოფნის გამბედაობა, აღიაროს დამარცხება და წავიდეს უკრაინული მიწიდან. „რუსეთის ფედერაციამ უკვე კარგად იგრძნო, რას ნიშნავს თანამედროვე არტილერია და მათ არ ექნებათ უსაფრთხო ზურგი არსად ჩვენს მიწაზე, რომლის ოკუპაციაც მოახდინეს. მათ იგრძნეს, რომ ჩვენი მზვერავების ოპერაცია საკუთარი სამშობლოს დასაცავად ბევრად ძლიერია, ვიდრე ნებისმიერი მათი სპეცოპერაცია. რუს ჯარისკაცებს, და ჩვენ ეს ვიცით მათი საუბრის მოსმენის შედეგად, გულწრფელად ეშინიათ ჩვენი შეიარაღებული ძალების. 139 დღე ასეთი ომის, თითქმის 20 კვირა, მსოფლიოში ე. წ. მეორე ჯარს ეშინია უკრაინელების და შეუძლია რამის გაკეთება მხოლოდ ძველი, საბჭოთა იარაღის უსაზღვრო მარაგის წყალობით. აღარ აქვთ არც სტრატეგიული ძალა, არც ხასიათი, არც აღქმა, თუ, საერთოდ, რას აკეთებენ აქ - ჩვენს მიწაზე. არ აქვთ მცირეოდენი გამბედაობაც კი, აღიარონ დამარცხება და გაიყვანონ ჯარი უკრაინული მიწიდან“, - განაცხადა ზელენსკიმ. პრეზიდენტის თქმით, უკრაინას შესწევს ძალა, თავი დაიცვას, ხელახლა ააშენოს და განახორციელოს ყველა საგარეო პოლიტიკური მიზანი.

* * *

სლავიანსკის, დოვგენკოეს და დოლინას დასახლებების მიმართულებით უკრაინელმა დამცველებმა მტრის თავდასხმა წარმატებით მოიგერიეს, - ამის შესახებ ნათქვამია უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ოპერატიულ ინფორმაციაში. მათივე ცნობით, ოკუპანტებმა უკრაინის ჯარების პოზიციებს სუმის რაიონის ვოლკოვკას რაიონში ნაღმტყორცნებიდან ცეცხლი გაუხსნეს. „ხარკოვის მიმართულებით მტრის ძირითადი ძალისხმევა მიმართულია თავდაცვაზე. მან არტილერიით დაბომბა ქალაქი ხარკოვი და დასახლებები: სოსნოვკა, დემენტიევკა, ნიკოლსკოე, რუსკი ტიშკი, პიტომნიკი, სლატინო, პრუდიანკა, ნოვოე, ივანოვკა და ზალიმანი“, - აცხადებენ გენშტაბში. მათივე ცნობით, სლავიანსკის მიმართულებით მტერი არ წყვეტს დოლინას, დიბროვნოს, კურულკას, მაზანოვკას, ადამოვკას, ვერნოპოლიეს, გუსაროვკას, ჩეპილის, ბოლშაია კამიშევახას, კრასნოპოლიეს, ხრესტიშეს, დოვგენკოესა და მაიაკის დასახლებების ტერიტორიების დაბომბვას. „უკრაინელმა დამცველებმა წარმატებით მოიგერიეს თავდასხმა დოვგენკოესა და დოლინას დასახლებების მიმართულებით. არ არის გამორიცხული, რომ მტერმა განაგრძოს თავდასხმის ოპერაციების ჩატარება ტაქტიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად იზიუმ-სლავიანსკის მიმართულებით შეტევის განსახორციელებლად“, - აცხადებენ გენშტაბში. მათივე ცნობით, ბახმუტის მიმართულებით ოკუპანტებმა დაბომბეს ბერესტოვოეს, ბელოგოროვკას, სოლედარის, პოკროვსკის, ბახმუტის, პოპროსნოის, ვესელა დოლინას, ვერშინას, ტრავნევოის, კოდემას, ტორეცკის და შუმოვის რაიონები. ინფორმაციაში ასევე აღნიშნულია, რომ ავდიივკას, კურახოვოს, ნოვოპავლოვსკის და ზაპოროჟიეს მიმართულებებით, მოწინააღმდეგემ საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა ავდიივკას, ვესელეს, მარინკას, ნოვომიხაილოვკას, პავლოვკას, პრიჩისტოვკას დასახლებებს და ავიადარტყმები განხორციელდა კამენკას, ავდიივკასა და ნოვომიხაილოვკას მახლობლად.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

„ასანთის ღერების არქიტექტორი“ – ბათუმიდან

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ალექსანდრე აბუსელიძეს ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს. ის აქტიური ახალგაზრდა, ევროპისკენ მიმავალი გზის დიდი ქომაგი და დამცველია, ასევე, ხელმძღვანელობს მერიის ახალგაზრდული საბჭოს საკოორდინაციო ჯგუფს. დღეს მას სულ სხვა რაკურსით გაგაცნობთ.

- „ასანთის ღერების არქიტექტორი“ - როდის დაიწყეთ ეს საქმე?

- პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ვარ თვითნასწავლი, კონსტრუქციების აგება კი დავიწყე 2 წლის წინ, ზაფხულში, წინასწარი მომზადების გარეშე.

- რა ან ვინ იყო ინსპირაციის წყარო?

- ინსპირაციის წყარო, როგორც ასეთი, არავინ ყოფილა, თუმცა თავისუფალ დროს მქონდა სურვილი, დავკავებულიყავი ხელობით. ყველაზე მეტად ამ მიმართულებამ მიიპყრო ჩემი ყურადღება, ასე დავიწყე ამ არაჩვეულებრივი საქმის კეთება.

- რა იყო პირველი ნამუშევარი?

- საზაფხულო სახლი, რომელსაც დასჭირდა ასანთის 15 000 ღერი და 2 თვე სამუშაოდ.

- ბიგ-ბენის მაკეტზე რას გვეტყვით?

- ბიგ-ბენი ზუსტი მაკეტია, რომელიც ასანთის 10 000 ღერით 2 თვეში ავაწყვე. რა თქმა უნდა, საათის მექანიზმი არის ჩასმული და ფუნქციონირებს.

- როგორც ვიცი, იმ სკოლის იდენტური მაკეტიც გააკეთე, სადაც სწავლობდი?

- ყველაზე მასშტაბური მაკეტი არის სკოლა „ნიკეს“ მაკეტი, რომელიც დღეს ამშვენებს სკოლის ბიბლიოთეკას. მას დასჭირდა ასანთის 41 000 ღერი და 5 თვე ასაწყობად, რადგან თითოეულ სართულზე ოთახების და დერეფნების განლაგება თავად ამ სკოლის იდენტურია.

- რომელია გამორჩეული ნამუშევარი?

- გამორჩეული ნამუშევარი გახლავთ „ვიზეარის“ თვითმფრინავი, რომლის ანალოგი ასევე არ არსებობს მსოფლიოში. ურთულესი ფორმებით არის აწყობილი, არანაირი დამხმარე მასალა - მხოლოდ ასანთის 21 000 ღერი. ეს ის მაკეტია, რომელიც რეკორდულად სწრაფ დროში, 3 კვირაში ავაწყვე და რომლის ღირებულება ძალიან დიდია, თუმცა მე ის არ გამიყიდია.

- რა არის ყველაზე რთული ამ საქმეში?



> *„დიახ, ვარ გატაცებული მეტეოროლოგიითაც და მაქვს ჩემი გვერდიც - „ამინდის პროგნოზი ალექსანდრესგან“. ჩემი სანაცნობო წრე ყოველთვის მეკითხება მოსალოდნელ პროგნოზს, რადგან მე ვიყენებ ელექტრონულ მეტეორუკას და რადარს, რის შედეგადაც მაქვს ზუსტი მონაცემები*

- ყველაზე რთული არის, რა თქმა უნდა, თმენის უნარი, ფორმების დამზადება ასანთისგან და სიმეტრიის დაცვა.

- როგორ ფიქრობ, დროთა განმავლობაში ეს ყველაფერი ჰობად ჩამოყალიბდა თუ პროფესიად იქცა?

- მე გავაგრძელებ ხელობას, ეს ჰობიზე მეტია.

- გეგმებზე რას გვეტყვი? რომელი შენობების აწყობას აპირებ მომავალში?

- მალე დავიწყებ მუშაობას კიდევ ერთ გრანდიოზულ პროექტზე, რომლის განხორციელებისთვისაც დამჭირდება ფიზიკა-ელექტრობა. ეს მაკეტი იქნება ბევრად უფრო მასშტაბური, ვიდრე ყველა წინამორბედი. მინდა, რომ იგი გინესის წიგნშიც მოხვდეს.

- მეტეოროლოგიითაც ხარ გატაცებული, ამაზეც გვითხარი რამე...

- დიახ, ვარ გატაცებული მეტეოროლოგიითაც და მაქვს ჩემი გვერდიც - „ამინდის პროგნოზი ალექსანდრესგან“. ჩემი სანაცნობო წრე ყოველთვის მეკითხება მოსალოდნელ პროგნოზს, რადგან მე ვიყენებ ელექტრონულ მეტეორუკას და რადარს, რის შედეგადაც მაქვს ზუსტი მონაცემები.

- საიდან დაიწყო ამ სფეროთი დაინტერესება?

- ამინდზე დაკვირვება ბავშვობიდან მომწონდა. ამავდროულად, ვარ გატაცებული კულინარიითაც და ამ სფეროშიც მივაღწიე წარმატებას, 18 ივლისიდან მზარეულის პოზიციაზე გავდივარ.

- დაბოლოს, ახალგაზრდებს რას ეტყოდი? ვფიქრობ, ამ სტატიის შემდეგ ბევრი დაინტერესდება როგორც ასანთის ღერებით კონსტრუქციების აწყობით, ასევე, მეტეოროლოგიით...

- ახალგაზრდებს ვურჩევდი, რომ თავისუფალი დრო, ნაცვლად კომპიუტერის ან ტელეფონისა, გაატარონ ისე, რომ აღმოაჩინონ საკუთარი თავი, საკუთარი ნიჭი, დაკავდნენ საზოგადოებრივი ცხოვრებითაც, ვინაიდან და რადგანაც ვარ მერიის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრი, მინდა, მეტად სარგებლის მომტან ახალგაზრდულ პროექტებსა და აქტივობებში მიიღონ მონაწილეობა, რაც დაეხმარება მათ გარკვეული უნარ-ჩვევების განვითარებასა და დახვეწაში.





ისტორიული ფოტოების გამოფენა და ფილმის – „სახლი ბათუმში“ ჩვენება ნობელების ტექნოლოგიურ მუზეუმში

ზიქრია დავლაძე 579 25 25 72

13 ივნისს ბათუმში, ძმები ნობელების ტექნოლოგიურ მუზეუმში გამოფენა სახელწოდებით „ბათუმი - ინდუსტრიის ქალაქი“ გაიმართა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ბათუმის სამრეწველო საწარმოების (მანქანათმშენებელი, გემთმშენებელი, თევზსაჭერი, ნავთობგადამამუშავებელი) აგრეთვე, ბათუმის ნავსადგურის ფოტოები. მოწვეულმა სტუმრებმა და ვიზიტიორებმა ამავე დღეს იხილეს დოკუმენტური ფილმი „სახლი ბათუმში“ .

- ფილმში აღწერილია 1917 წლის ბათუმი, გასაბჭოების შემდგომი პერიოდი, თუ რა ტემპით განვითარდა მრეწველობა, ქალაქის ინდუსტრია, სწორედ ამ კონკრეტულ 5 ქარხანაზე გვაქვს ისტორიული ფოტოები, რომლებიც ეკუთვნის ამ პერიოდს. აქვე მათი ისტორიებიც არის წარმოდგენილი, რაც საშუალებას იძლევა ინფორმაცია ნებისმიერი ვიზიტიორისთვის იყოს გასაგები და ადვილად აღსაქმელი“, - გაზეთ „აჭარასთან“ საუბრისას განაცხადა ბათუმის ძმები ნობელების ტექნოლოგიური მუზეუმის ხელმძღვანელმა მედეა ჩარკვიანმა.

ბათუმში თევზის მრეწველობას საფუძველი 1921 წლიდან ჩაეყარა. 1930-32 წლებში კი თევზის მრეწველობის საწარმო შეიქმნა, რომლის ფლოტი თევზსაჭერი საშუალებებით იყო აღჭურვილი. თავდაპირველად, სამაცივრო დანადგარების უქონლობის გამო მხოლოდ დამარილებულ ქაფშიას აწარმოებდა. მოგვიანებით ფლოტში მოტორიანი თევზსაჭერებიც იქნა ჩართული, რომელმაც აამაღლა თევზის ჭერის მაჩვენებელი.

- კარგია, რომ იმ ისტორიების გაცნობის საშუალება გვეძლევა, რომლებიც ბათუმის და ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობას უკავშირდება. მადლობელი ვარ, რომ დღეს მომეცა საშუალება, მენახა ეს უძველესი ფოტოარქივი და მათზე ასახულ ობიექტებთან დაკავშირებულ ისტორიულ ფაქტებს გავცნობოდი. როგორც ადგილობრივისთვის, ასევე სხვა ქალაქებიდან და ქვეყნებიდან ჩამოსული ვიზიტიორებისთვის მნიშვნელოვანი და მეტად საინტერესოა ამგვარი ინფორმაციის მიღება, - გვითხრა გამოფენის ერთ-ერთმა სტუმარმა მელანო გოგატიშვილმა. მუზეუმში გამოფენილი ექსპონატებიდან ერთ-ერთია ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. აქვე შეგვიძლია გავიგოთ, რომ ის საქართველოს მასშტაბით პირველი საწარმო იყო, რომელიც ნედლ ნავთობს ამუშავებდა. მისი მშენებლობა 1927-29 წლებში მიმდინარეობდა. ქარხანა საქართველოში ყველაზე მსხვილ საწარმოდ ითვლებოდა. რაც შეეხება გემთმშენებელ ქარხანას, აქ მზადდებოდა მსუბუქი ტიპის სამგზავრო, 145-ადგილიანი გემები, ასევე 96-ადგილიანი სამგზავრო კატარღები, აწარმოებდნენ 6-ადგილიან სწრაფმავალ კატარღებსაც. ასევე, სატვირთო ნავებს, აერომარხილებს, რომლებსაც მოძრაობა შეეძლოთ როგორც წყალზე, ასევე ყინულსა და თოვლზეც. ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა საქართველოს ჩაის მრეწველობისათვის უშვებდა 5 დასახელების ავტომობილს. ქარხანა მომხმარებელს აწვდიდა ასევე 65 დასახელების და დანიშნულების დანადგარ-მოწყობილობებს, ესენია: ჩაის მრეწველობის საკონსერვო, კომპოტის, მურაბის წარმოების, შამპანურისა და კონიაკის წარმოებისათვის.

ტექნოლოგიურ მუზეუმში ვიზიტიორებს შეუძლიათ ბათუმის ნავსადგურის ისტორიასაც გაეცნონ. მორიგი გამოფენა ბათუმის ძმები ნობელების მუზეუმში 20 ივლისისთვის იგეგმება.

ლეო ანთაძე - მაყურებლის სახეზე კმაყოფილებას რომ ხედავ, აზარტი გემატება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საქართველოს სახალხო არტისტი **ლეო ანთაძე** თითქმის სამოცდათი წელია ქართული თეატრისა და კინოს თანავარსკვლავედში ბრწყინავს. 1955 წელს დაამთავრა თბილისის შოთა რუსთაველის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი და იმ დროიდან სცენაზეა. მარჯანიშვილის თეატრში იმდენ სპექტაკლში მივიღე მონაწილეობა, რომ სათვალავი ამერიაო, - ამბობს. რუსთავის დრამატულ თეატრში რვა სეზონი იმუშავა. ამ ხნის განმავლობაში მრავალი საინტერესო როლი შექმნა. 35-მდე ფილმში ითამაშა. მას უმუშავია ისეთ სახელოვან რეჟისორებთან, როგორებიც იყვნენ შოთა მანაგაძე, მარლენ სოსელია, ბაადურ წულაძე, რეზო ესაძე, სიკო დოლიძე, რევაზ ჩხეიძე, გიგა ლორთქიფანიძე, როგორიც ელდარ შენგელაიაა.

წელს ნოემბერში, ღვაწლმოსილ მსახიობს დაბადებიდან 90 წელი უსრულდება, ამასთან დაკავშირებით საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროები, საქართველოს ეროვნული ფილარმონია რიგ აქტივობებს მართავენ. ამ დღეებში ლეო ანთაძის შემოქმედებითი საღამოები გაიმართა ხულოსა და შუახევში, სადაც მან მონოსპექტაკლები წარმოადგინა.

ლეო ანთაძეს შუახევში შევხვდით და გავესაუბრეთ.

- ბებიაჩემი გახლდათ ცნობილი ქართველი მწერალი ნინო ნაკაშიძე. მამაჩემს მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული. დედაჩემი - მარიამ სიდამონ-ერისთავი პირმშვენიერი ქალი იყო, მუდამ მხიარული, სიკეთით სავსე, მეგობრების მოყვარული. მათ ერთმანეთი თეატრში გაიცნეს. საოცარი მოლხენა იცოდნენ. დედა სიმღერასთან ერთად «მთიულურსაც» კარგად ცეკვავდა. დიომიდე ანთაძესა და მარიამს ხშირად თანამეინახენიც აჰყვებოდნენ სიმღერასა და ცეკვაში. მამაჩემი თავს შეიხვევდა ცხვირსახოცით და სენ-სანსის «მომაკვდავი გედის» პარტიას ასრულებდა მთელი სერიოზულობით. მამა კოტე მარჯანიშვილის თეატრში რეჟისორად მუშაობდა. როდესაც კოტე მარჯანიშვილი მოსკოვის მცირე თეტრში მიიწვიეს შილერის «დონ კარლოსის» დასადგმელად, მან პიესა «ჯოი სტრიტის» დადგმა მამაჩემს გადააბარა და ეს მაშინ, როდესაც თეატრში მუშაობდნენ სახელოვანი რეჟისორები: ვასილ ყუშიტაშვილი, ვახტანგ ტაბლიაშვილი, გიორგი ჟურული, არჩილ ჩხარტიშვილი. მამამ ასევე დადგა კორნეიჩუკის პიესა «ესკადრის დაღუპვა» ვასო გოძიაშვილის, გიორგი შავგულიძის, ალექსანდრე სარაულის და სხვა მსახიობების მონაწილეობით. ერთ გადაღებაზე მამამ ქობულეთში და კიკეთში წამიყვანა. აქ დავუახლოვდი ნატო ვაჩნაძისა და ნიკოლოზ შენგელაიას შვილს - ელდარს. ეს ურთიერთობა დღემდე გრძელდება. ზაფხულის არდადეგებს ბებიასთან ერთად ქვიშხეთის მწერალთა დასასვენებელ სახლში ვატარებდით, რომელიც წარსულში დიმიტრი ყიფიანის კუთვნილება იყო. დიდი ბედნიერება იყო მესაუბრა და მომესმინა ისეთი სახელოვანი მწერლებისთვის, როგორებიც კონსტანტინე გამსახურდია, გოგლა ლეონიძე, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე აბაშელი, სანდრო შანშიაშვილი, პოლიკარპე კაკაბაძე, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეები, დემნა შენგელაია, სანდრო ეული-ქურიძე, ალიო მირცხულავა, გერონტი ქიქოძე, ვიქტორ გაბესკირია, მიხეილ მრევლიშვილი, სერგო კლდიაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი იყვნენ.

- რას ეძღვნება ეს გასტროლები?

- ძალიან მიყვარს აჭარა. საოცარი ადამიანები, განუმეორებელი ბუნება, ზღვა, ცას მიბჯენილი მთები ყოველთვის მიზიდავს. როდესაც პროდიუსერმა, ეროვნული ფილარმონიის გენერალურმა დირექტორმა ლადო ხელაშვილმა მითხრა, აჭარაში მივდივართო, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მაყურებელთან შეხვედრისას დიდი სიამოვნება მივიღე. მათ ჩემი შემოქმედება გავაცანი, რამდენიმე ნოველა წავიკითხე, ნაწყვეტი «ბახტრიონიდან». ვხედავდი მაყურებლის დიდ ინტერესს და ეს ჩემთვის დიდი საჩუქარია. როცა შენს ემოციას მაყურებელს გადასდებ და ორივე ერთ სამყაროში შედიხართ, უდიდესი სიამოვნებაა. ვცდილობ, რომ ქვეყნის სხვადასხვა კუთხე მოვიარო, გასტროლი კი ჩემს საიუბილეო თარიღს ეძღვნება.

- 35-მდე კინოროლი გაქვთ შესრულებული. გამორჩეულად რომელი დაგამახსოვრდათ?

- პირველი კინოროლი რომ მომცეს, 24 წლისა ვიყავი. ეს იყო ფილმი «ყვავილი თოვლზე». ჯულიეტა ვაშაყმაძე და მე ერთად მიგვიწვია რეჟისორმა. კახაბერის როლი ვითამაშე. ამას წინათ ქუჩაში მძღოლმა ტაქსი გააჩერა და მიმიპატიჟა, კახელი იყო. აღტაცებით მიყვებოდა, მრავალ ფილმში გნახეთ და რომელი ითამაშეთ პირველადო. ვუთხარი, რომ კახაბერი. მაინცდამაინც ის გამოშტერებული კაცი რამ გათამაშაო.

- მრავალ რეჟისორთან გიმუშავიათ, რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

- რეზო ესაძე იღებდა ფილმს «წკიპურტები». იღებდნენ სცენას, სადაც ზურაბ ქაფიანიძემ უნდა მცემოს. ვთხოვე ამ ეპიზოდის შეცვლა. ქვა ააგდო და... ისე უნდა ვაცემინო შენი თავი, საღსალამათი აღარ დარჩეო. ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე. ამიყვანეს მდინარე ალგეთთან, მანგლისის ზევით და დაიწყო, ზურაბი მირტყამს, რეზო უკმაყოფილოა: არაა დამაჯერებელი კადრი, მართლა უნდა სცემოო, - აგულიანებს ზურაბს. ძმაკაცს ხელი გამეტებით როგორ შემოვკრაო, უარზეა ზურაბი. რამდენიმე დუბლი გადავიღეთ. რეზო ისევ უკმაყოფილოა. არც თქვენი კადრი მინდა და არც ფულიო, - გაბრაზდა ზურაბი. ყველაზე მეტად მე ვთხოვდი კარგად გაველახე. დამიწყო დაუნდობელი ცემა. რეზო გაჰკივის: მიდი, მიდი მოკალი, მუცელში ჩაარტყი... კარგად მომქეჟა. დილით ძლივს წამოვდექი. რეზოს ტელეფონით შეეეხმიანე, მასალა როგორი იყო-მეთქი. ყველაფერი გავამჟღავნე, კარგი კადრები გამოვიდა, მაგრამ ცემის სცენა არ ვარგა, ფირი გაკაწრული იყო და თავიდან გადასაღებიაო...

შესანიშნავი პედაგოგები მყავდა: დიმიტრი ალექსიძე, მიხეილ თუმანიშვილი, სერგო ზაქარიაძე. მათ კინოსა და თეატრში გზა გამიწალდეს. თავის მხრივ, მათი პედაგოგები იყვნენ კოტე მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი. ესტაფეტა თაობიდან თაობას გადაეცემოდა. დღეს ასეთი პედაგოგებით ვერ დავიტრაბახებთ. კარგი რეჟისორები გამოჩნდნენ, მაგრამ ფინანსურად უჭირთ. ელდარი ბრწყინვალე რეჟისორია და ისიც კი თანხების უკმარისობის გამო ფილმებს ვერ იღებს.

- აჭარაში ანთაძეები რამდენიმე სოფელში სახლობენ, გაქვთ ურთიერთობა?

- ქობულეთში გავიცანი მამა-შვილი ანთაძეები. ერთმანეთს დავუახლოვდით. ყოველ ზაფხულს დასასვენებლად ჩამოვდივარ.

- დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოები აჭარაგურიიდან დაიწყეთ...

- რომელი კუთხეც და იქაური ადამიანები გიყვარს, გულსაც იქ მიუხარია.

- ახალგაზრდებზე რას იტყვით?

- ძალიან ნიჭიერი მსახიობები გამოჩნდნენ, ახლა სიტყვა რეჟისორებზეა. ამჯერად არავის გამოვყოფ, რომ სხვებს გული არ ვატკინო, იმედია, ნიჭს გამოცდილებითაც გაამდიდრებენ.

- ქართველი კლასიკოსებიდან ვის გამოარჩევდით?

- ვისაც მოვესწარი, უკვე გითხარით. ვერ მოვესწარი მიხეილ ჯავახიშვილს, მაგრამ ჩემთვის ის უპირველესია. მიყვარს კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის რომანების კითხვა, პოეზიაში ვაჟა-ფშაველა და ნიკოლოზ ბარათაშვილი შეუდარებლად მიმაჩნია.

- სიყვარულზე ხშირად გადაგაქვთ აქცენტი. მეუღლე სიყვარულით შეირთეთ?

- სიყვარულით, რა თქმა უნდა. სხვათა შორის, სამი მეუღლე გარდამეცვალა

- ახლა გყავთ?

- ჯერჯერობით არა, მაგრამ ვაპირებ.

- შვილები?

- ჯერჯერობით, 4 შვილის მამა ვარ, მაგრამ კიდევ ვაპირებ (იცინის). 8 შვილიშვილი, 6 შვილთაშვილი მყავს. ასე რომ, ჩემი ვალი ქვეყნის წინაშე ამ მხრივ მოხდილი მაქვს.

- აჭარის მთიანეთიდან რა შთაბეჭდილებებით მიდიხართ?

- ხულოში და შუახევში ინტერესით მისმენდნენ, რაც სტიმულს მაძლევდა. მაყურებლის სახეზე კმაყოფილებას რომ ხედავ, შენც აზარტი გემატება. ისეთი შემთხვევებიც მქონია, როცა დარბაზსა და ჩემს შორის ნორმალური კონტაქტი არ იყო. მაყურებლის კულტურა მთავარია, რაც აქ ერთხელ კიდევ დავინახე. მაყურებელი როცა არ მისმენს, ამაში საკუთარ თავსაც ვადანაშაულებ. იგი უნდა მონუსხო, დააჰიპნოზო, რომ როლები თანაბრად გაინაწილოთ.

- თუ გახსოვთ შემთხვევა, რომ «ბახტრიონის» კითხვისას ტექსტი დაგავიწყდათ?

- არასოდეს, არასოდეს... მეხსიერება ძალიან კარგი მაქვს. ჯერჯერობით, სათვალეც არ გამომიყენებია, მომივიდა აზრად, რომ მონოსპექტაკლი დამოუკიდებლად გამეკეთებინა. გათბობა არ იყო, ლოგინში ჩავწვებოდი და ასეთ ვითარებაში დავამუშავე «ბახტრიონი» და «ქვიშური ესკიზები». ლოგინში შევქმენი ბავშვებიც და როლებიც.

- საკუთარი ლექსი თუ გაქვთ?

- მცდელობაც კი არ მქონია.

- სატელევიზიო შოუებსა და ფილმებში მიწვევა თუ გაქვთ?

- მალე ჩემი მონაწილეობით ეკრანზე მოკლემეტრაჟიანი ფილმი გამოვა.

- მადლობა საინტერესო საუბრისთვის.

> *„რეზო ესაძე იღებდა ფილმს «წკიპურტები». იღებდნენ სცენას, სადაც ზურაბ ქაფიანიძემ უნდა მცემოს. ვთხოვე ამ ეპიზოდის შეცვლა. ქვა ააგდო და... ისე უნდა ვაცემინო შენი თავი, საღსალამათი აღარ დარჩეო. ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე. ამიყვანეს მდინარე ალგეთთან, მანგლისის ზევით და დაიწყო, ზურაბი მირტყამს, რეზო უკმაყოფილოა: არაა დამაჯერებელი კადრი, მართლა უნდა სცემოო, - აგულიანებს ზურაბს.*

სასწავლო ვიზიტი - პორტუგალიაში

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება სოციალური მომსახურებების განვითარებისათვის“ ფარგლებში, 3-8 ივლისს ასოციაცია „ანიკამ“ პორტუგალიაში სასწავლო ვიზიტი მოაწყო. მისი მიზანი იყო პორტუგალიის სხვადასხვა სოციალური მომსახურების დეტალური შესწავლა და მათ განხორციელებაში ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობის პრაქტიკის გაზიარება.

სასწავლო ვიზიტში აჭარიდან მონაწილეობა მიიღეს ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზურაბ თენიეშვილმა, შუახევის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე რუსუდან შავაძემ.

ვიზიტის ფარგლებში სამუშაო ჯგუფი ეწვია როგორც პორტუგალიის დედაქალაქის - ლისაბონის სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებს, შეხვდა, სახელმწიფო სტრუქტურების და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს, მიიღო ინფორმაცია სოციალური სერვისების ევროპული სტანდარტების შესახებ, დეტალურად გაეცნო პორტუგალიაში არსებულ მომსახურებებსა და სერვისის მიწოდებაში ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობას.

ასოციაცია „ანიკა“ 2021 წლის 1 თებერვლიდან, ევროკავშირის დაფინანსებითა და მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება სოციალური მომსახურებების განვითარებისათვის“. მისი პარტნიორია თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი.

- სასწავლო ვიზიტი შინაარსიანი იყო და მას მომავალ მუშაობაში გამოვიყენებთ, - გვითხრა როლანდ ბერიძემ.

ტერორიზმს არ გააჩნია ეროვნება, ეთნიკურობა ან რელიგია – FETO მთელ კაცობრიობას ემუქრება

თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ მევლუთ ჩავუშოღლუს სტატია

2016 წლის 15 ივლისის საღამოს „ფეთჰულაჰის მიმდევრების ტერორისტულმა ორგანიზაციამ“ (FETO) სისხლიანი გადატრიალების მცდელობა მოაწყო ჩემი ქვეყნის ხალხისა და მთავრობის წინააღმდეგ. მათი მიზანი იყო რადიკალური, ფუნდამენტალისტური რეჟიმის დამყარება, რომელიც ლოიალური იქნებოდა მხოლოდ მათ ლიდერ ფეთჰულაჰ გიულენის მიმართ.

FETO-სთან დაკავშირებული არმიის ქვედანაყოფებმა დატოვეს თავიანთი ყაზარმები, რათა დაეკავებინათ ისეთი მნიშვნელოვანი ადგილი, როგორიცაა ბოსფორის ხიდი სტამბოლში; მათმა გამანადგურებელმა თვითმფრინავებმა და შვეულმფრენებმა დაბომბეს სტრატეგიული სამიზნეები, მათ შორის პარლამენტი, საპრეზიდენტო კომპლექსი, არმიისა და პოლიციის შტაბები, რამაც ათასობით მოქალაქე გამოიყვანა ქუჩაში იმ მიზნით, რომ შეეჩერებინათ ეს უპრეცედენტო, ამაზრზენი გადატრიალების მცდელობა. მოდალატე კონსპირატორებმა მოკლეს 251 უდანაშაულო მშვიდობიანი მოქალაქე, ხოლო ათასობით მათგანი დაჭრეს. იმ დამეს თურქმა ხალხმა საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვა დემოკრატია. ეს იყო ის გმირული პასუხი, რაც შეთქმულებმა ვერ გაითვალისწინეს.

იმისთვის, რომ გაიგოთ, თუ რა მოხდა, უნდა გაიგოთ FETO-ს ნამდვილი ბუნება. FETO დაარსდა 1960-იანი წლების მიწურულს, როგორც ეგრეთ წოდებული „რელიგიური მოძრაობა“. მან მოახერხა თავისი ბოროტი განზრახვის შენიღბვა განათლებისა და რელიგიათაშორისი დიალოგის ხელშეწყობის საფარქვეშ.

ათწლეულების განმავლობაში ხორციელდებოდა მათი ფართომასშტაბიანი და კარგად მომზადებული გეგმა, რომლის მიხედვითაც FETO-ს წევრები სამსახურს იწყებდნენ ჯარში, სამართალდამცავ ორგანოებში, სასამართლო და სხვა მრავალ სახელმწიფო უწყებასა და ინსტიტუტებში, მათ შორის ჩემს სამინისტროში, ხოლო მათი გეგმის საბოლოო ეტაპს 2016 წლის 15 ივლისი წარმოადგენდა.

გადატრიალების მცდელობა რომ წარმატებით დამთავრებულიყო, დღეს სულ სხვა თურქეთს მივიღებდით. არ იარსებებდა დემოკრატია და ფუნდამენტალური უფლებები, თავისუფლება განუსაზღვრელი ვადით შეჩერდებოდა, ერი ექსტრემალური ხელისუფლების ხელში აღმოჩნდებოდა.

FETO არა მხოლოდ აკონტროლებდა საგანმანათლებლო დაწესებულებების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს, არამედ ფლობდა ფინანსურ ინსტიტუციებსაც. მათი საბანკო ანგარიშები ივსებოდა მრეწველობისა და ვაჭრობის დარგის გამოჩენილი წევრების, ცნობილი ოფიციალური პირებისა და საზოგადო მოღვაწეების მიერ, რომლებიც ამავდროულად FETO-ს წევრებიც იყვნენ.

15 ივლისის სისხლიანი გადატრიალების მცდელობის შემდეგ დაიწყო საჯარო სექტორის, მათ შორის სამთავრობო ინსტიტუტებისა და სამხედროების, ასევე კერძო სექტორის შეურიგებელი წმენდა FETO-სთან დაკავშირებული ყველა პირისა და კომპანიისაგან. რამდენიმე ცნობილი შეთქმული დააკავეს. ზოგიერთები გაიქცნენ და თავშესაფარი უცხო ქვეყნებში ჰპოვეს. ტერორისტული ორგანიზაცია FETO-ს ხელმძღვანელი ფეთჰულაჰ გიულენი კვლავ აშშ-ში ცხოვრობს. ჩვენი მთავრობა წლების განმავლობაში ითხოვდა შეერთებული შტატებისგან გიულენის ექსტრადირებას, ისევე როგორც ევროპული ქვეყნებიდან FETO-ს სხვა წევრების გადმოცემას. სამწუხაროდ, ეს მოთხოვნები დღემდე არ არის შესრულებული.

მეორე მხრივ, მსოფლიოს მთავრობები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ იმ საფრთხეს, რასაც ეს ტერორისტული ორგანიზაცია მათაც უქმნის და იღებენ აუცილებელ ზომებს. FETO ასევე ეწევა ისეთ უკანონო ქმედებებს, როგორიცაა: სავიზო თაღლითობა, ფულის გათეთრება, იარაღით ვაჭრობა. შესაბამისად, ბევრ ქვეყანაში FETO-ს წევრები საჯარო და კერძო სექტორიდან დაითხოვეს. საზღვარგარეთ ამ ტერორისტულ ორგანიზაციასთან დაკავშირებული ბევრი სკოლა 2016 წლის შემდეგ გადაეცა თურქულ მაარიფის ფონდს (Turkish Maarif Foundation). დღეს მაარიფის სკოლები ბევრ ქვეყანაში ფუნქციონირებს და უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მიღებას მთელ მსოფლიოში.

თურქეთის ბრძოლა FETO-ს წინააღმდეგ თავისი ხასიათითა და მასშტაბებით არ განსხვავდება სხვა ქვეყნების ბრძოლისგან იმ ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც ატერორებდნენ თანამდებობისა თუ სამოქალაქო პირებს და საფრთხეს უქმნიდნენ დემოკრატიულ ღირებულებებს, ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებას. თურქეთი აკეთებს იმას, რაც წარსულში გააკეთა სხვადასხვა ქვეყანამ ტერორიზმთან ბრძოლაში. ყველა პროცედურა შეესაბამება კანონს.

ტერორიზმს არ გააჩნია ეროვნება, ეთნიკურობა ან რელიგია. ეს საფრთხე მთელ კაცობრიობას ემუქრება. ამიტომ ამ საფრთხეზე პასუხი უნდა იყოს ერთიანი და მკაფიო. არცერთ სახელმწიფოს არ აქვს ფუფუნება, მოახდინოს ტერორისტების დიფერენცირება და არცერთი ტერორისტული ორგანიზაცია არ შეიძლება იყოს კლასიფიცირებული საკუთარი პრიორიტეტების შესაბამისად, როგორც „გამოსადეგი“. FETO პასუხისმგებელია ასობით ადამიანის დაღუპვაზე, ისევე როგორც თურქი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ უმძიმეს დანაშაულებზე. 2016 წლის 15 ივლისიდან ექვსი წლის თავზე თურქეთი კვლავ აგრძელებს მტკიცე ბრძოლას FETO-სა და ასევე, სხვა ისეთი ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ, როგორებიცაა: PKK, PYD-YPG, DHKP-C და DAESH-ი.

ჩვენ მოველით საერთაშორისო თანამეგობრობისაგან თურქეთისადმი სოლიდარობას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

R

მილიარდერ ილონ მასკის კუთვნილებაში მყოფი კომპანია STARLINK-ი საქმიანობას საქართველოშიც გააგრძელებს

29 ივნისს Starlink Holdings Netherlands-მა საქართველოში შვილობილი „სტარლინკ ჯორჯია“ დაიფუძნა და ავტორიზაციის მიზნით კომუნიკაციების კომისიასაც მიმართა. კომუნიკაციების კომისიაში SpaceX-ის Starlink-ის სატელიტური ინტერნეტ-სერვისის საქართველოში გაშვების საკითხი განიხილეს. გაცნობით შეხვედრაზე კომისიის და მედიალაბის თანამშრომლებმა Starlink-ის წარმომადგენელთან საქართველოში სატელეკომუნიკაციო სექტორში არსებულ მდგომარეობასა და სამომავლო ხედვაზე, ასევე ქვეყანაში ციფრული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებზე ისაუბრეს.

Starlink-ი უზრუნველყოფს მაღალსიჩქარიან, დაბალი დაყოვნების მქონე ფართოზოლოვან ინტერნეტს მთელს მსოფლიოში, მათ შორის იმ ადგილებში, სადაც ინტერნეტკავშირი ძვირადღირებული, დაბალი საიმედოობის, უხარისხო ან სრულიად მიუწვდომელია. SpaceX-ს დღეისათვის 2700-ზე მეტი Starlink-ის დაბალ ორბიტალური თანამგზავრი ჰყავს გაშვებული.

საქართველოს კონტექსტში Starlink-ი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესო მაღალმთიან რეგიონებში, ასევე ფართოზოლოვანი ინტერნეტდაფარვის არმქონე დასახლებებშია. Starlink-ის დანერგვის შემდეგ ყველა ასეთ გეოგრაფიულ არეალში მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ნებისმიერი მსურველისთვის ხელმისაწვდომი იქნება.

აღსანიშნავია, რომ Starlink-ის ოფიციალურ საიტზე საქართველოს ტერიტორია უფასო ინტერნეტის მომლოდინეთა კატეგორიას მიეკუთვნება.

ამირან გურიელიძე

მოუსვენარი ფეხების სინდრომი

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

მოუსვენარი ფეხების სინდრომი არის მდგომარეობა, რომელიც ფეხების მუდმივი მოძრაობის დაუოკებელი სურვილით გამოიხატება. ამის მიზეზი ფეხებში გაჩენილი უსიამოვნო შეგრძნებაა, რომელიც უმეტესად ღამღამობით იჩენს თავს, ჯდომის ან წოლის დროს. მოძრაობა მას მხოლოდ დროებით ამსუბუქებს. ამ სინდრომს ვილის-ეკბომის დაავადებასაც უწოდებენ. ნებისმიერ ასაკში შეიძლება გაჩნდეს და ასაკთან ერთად უფრო გამწვავდეს, ძილის სერიოზული დარღვევა გამოიწვიოს და დააქვეითოს ცხოვრების ხარისხი.

სინდრომის მთავარი კომპონენტი ფეხების მოძრაობის ძლიერი სურვილია, რომელსაც შესაძლოა დაემატოს:

დისკომფორტის შეგრძნება მოსვენების, დიდხანს ჯდომის დროს; უსიამოვნო შეგრძნების შემსუბუქება ფეხების გაჭიმვის, აქანავების, სიარულის შედეგად; სიმპტომების დამძიმება საღამოობით, პიკი - ღამით; ფეხების უნებლიე დაჭიმვა ღამით...

პაციენტები ამ სინდრომს აღწერენ როგორც არაბუნებრივ, უსიამოვნო შეგრძნებას ფეხებში, უპირატესად - ტერფებში. ზოგჯერ ხელებშიც იჩენს თავს. ამას ადარებენ ჭიანჭველების ცოცვას, დაჭიმვას, ფეთქვას, ტკივილს, დენის გავლას, ქავილს, ჰგავს ყველაფერს, ზუსტად კი ძნელი სათქმელია...

ამ სიმპტომების გამოჩენისთანავე მიმართეთ ექიმს. გამომწვევი ზუსტი მიზეზი უცნობია. ვარაუდობენ, რომ მას იწვევს დისბალანსი დოფამინისა, რომელიც კუნთების მოძრაობას აკონტროლებს. ხშირად სინდრომს ოჯახური ხასიათი აქვს, 40 წლამდე იჩენს თავს. ზოგჯერ ორსულობის მესამე ტრიმესტრში ქალების გარკვეული ნაწილი პირველად აღწერს ამ სინდრომს, თუმცა მშობიარობის შემდეგ იგი ქრება.

სინდრომი შესაძლოა დამოუკიდებლად არსებობდეს, თუმცა ზოგჯერ შეიძლება ერწყმოდეს:

პერიფერიულ ნეიროპათიას - ამ დროს უმთავრესად მტევნებისა და ტერფების ნერვული დაბოლოებები ზიანდება რომელიმე ქრ. დაავადების (შაქრიანი დიაბეტი, ალკოჰოლიზმი...) გამო;

რკინის დეფიციტს - მას მოუსვენარი ფეხების სინდრომის გამწვავება შეუძლია;

თირკმლის უკმარისობას - ამ დროს ორგანიზმში მიმდინარე ბიოქიმიურმა ცვლილებებმა შესაძლოა დაამძიმოს მოუსვენარი ფეხების სინდრომი;

ზურგის ტვინის დაზიანებას - ვარაუდობენ, რომ სპინალურ ანესთეზიას შეუძლია გაზარდოს ამ სინდრომის განვითარების რისკი.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სინდრომი სიცოცხლისთვის საშიში არ არის, იგი გაუსაძლის მდგომარეობაში აგდებს პაციენტს - ავადმყოფები ვერ ახერხებენ გამოძინებას, დაძინებას, ძილის დეფიციტი კი მოთენთილობას, ენერგიის ნაკლებობას, კონცენტრირების უნარის დაქვეითებას, გუნება-განწყობის გაუარესებას იწვევს. ზოგჯერ დეპრესიაც კი ყალიბდება.

ამ სინდრომის დიაგნოსტიკა შემდეგ კრიტერიუმებს ემყარება:

ფეხების მოძრაობის გაუსაძლისი სურვილი, რომელსაც ერთვის ცოცვის, მოქაჩვის, ჩხვლეტის, წიწვნის შეგრძნებები;

სიმპტომები ძირითადად ვლინდება ჯდომისას, წოლისას, სიმპტომებს ნაწილობრივ ან დროებით ამსუბუქებს მოძრაობა, სიარული, გაჭიმვა...;

სიმპტომები ღამით მძიმდება;

ვერ ხერხდება სიმპტომების სხვა პათოლოგიით, ქცევითი აშლილობით ან სხვა სამედიცინო მდგომარეობით ახსნა.

ტარდება ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევები (მაგ. რკინის განსაზღვრა სისხლში) სხვა პათოლოგიების გამოსარიცხად.

მოუსვენარი ფეხების სინდრომი შესაძლოა შეამსუბუქოს თბილმა აბაზანამ, მასაჟმა (ფეხის კუნთებს ადუნებს); თბილი და გრილი საფენების მონაცვლეობამ; ძილის სწორმა რეჟიმმა (სიგრილეში, სიწყნარეში, დროის რეჟიმის დაცვა), რეგულარულმა საშუალო ინტენსივობის ვარჯიშმა (არა გადაძაბვამ და ძლიერმა დატვირთვამ, რომელიც, პირიქით, მდგომარეობას გაამწვავებს); ერიდეთ ჭარბ კოფეინს (ყავა, ჩაი, შოკოლადი, კოფეინის შემცველი სასმელები);

მედიკამენტებიდან ძირითადად გამოიყენება პრეპარატები, რომლებიც ზრდის ტვინში დოფამინის დონეს; კალციუმის არხებზე მოქმედი საშუალებები; ოპიოიდები მცირე დოზით, რათა მათზე დამოკიდებულება არ ჩამოყალიბდეს; კუნთების რელაქსანტები (მიორელაქსანტები); საძილე საშუალებები... ეს მედიკამენტები მხოლოდ კვალიფიციური ექიმის დანიშნულებით შეიძლება მიიღოთ და არა - თვითნებურად!

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეროძის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 13/07/22, 21 15 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ნანა მესხმა და „თბილისურმა კვარტეტმა“ სიყვარულით უმღერეს ბათუმს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

„ჩემი გული მუდამ ბათუმთანაა“ - ამ სიტყვებით დაიწყო დარბაზთან ურთიერთობა ყველასთვის საყვარელმა მომღერალმა ნანა მესხმა. კომპოზიტორი, გიტარისტი, მომღერალი, იურისტი ნანა მესხი ბათუმელებსაც რომ გამორჩეულად უყვართ, ეს კარგად გამოჩნდა 12 ივლისს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო პროფესიულ თეატრში, სადაც მასთან და „თბილისურ კვარტეტთან“ შესახვედრად მივიდა მაყურებელი. კვარტეტის შემადგენლობაში არიან გიორგი რიჟამაძე, ძმები ილია და დაჩი ბახუაშვილები, ლუკა ანთიძე

საღამო-კონცერტი გაჯერებული იყო სითბოთი და სიყვარულით, რომელიც ასე მოგვნატრებია ყველას. გვითხრა, რომ გაუსაძლისი პანდემიის შემდეგ, გადაწყვიტეს, თანამემამულეებს შეხვედროდნენ სხვადასხვა რეგიონში და ამ ურთიერთობის აღდგენა ბათუმიდან დაიწყეს. როგორც ნანა მესხმა აღნიშნა, ბათუმი მისი უსაყვარლესი ქალაქია, რომელთანაც ძალიან თბილი მოგონებები აკავშირებს. ჩვენც კარგად გვახსოვს მისი საღონური საღამოები „ყავა ქვიშაზე - ნანა მესხთან“, რომელზეც არაერთი სახელოვანი, ადამიანი ჩამოიყვანა. მათ შორის იყვნენ თემურ ჩხეიძე, მარიკა კვალიაშვილი, ნინელი ჭანკვეტაძე და სხვები.

კონცერტი მორის ფოცხიშვილის ლექსზე შექმნილი ნანა მესხის სიმღერით „მიდის სიცოცხლე“ დაიწყო. შემდეგ არაერთი სიმღერა მოვისმინეთ როგორც კვარტეტთან ერთად, ისე სოლო-შესრულებით. „თბილისური კვარტეტი“ მოწოდების სიმაღლეზე იყო, არაერთი გულშიჩამწვდომი სიმღერა შეასრულა უზადოდ და მაღალპროფესიულად როგორც თანამედროვე კომპოზიტორების შემოქმედებიდან, ისე ჩვენი საგანძურიდან. მათვე შემოგვთავაზეს გოგი ცაბაძის შემოქმედებიდან არაჩვეულებრივი სიმღერების პოპური. კონცერტზე განსაკუთრებული სტუმრის სტატუსით იმღერა ბათუმურმა კვარტეტმა „ნოტამ“ ჯერ ნანა მესხის „ფრანგული სიმღერა“ (ტექსტიც მისივეა) და შემდეგ - ქართული. ნანა მესხის მეორე ფრანგული სიმღერა კვარტეტმაც შემოგვთავაზა. კომპოზიტორის თითოეული სიმღერა გულშიჩამწვდომი, მელოდიური და ამ ქალბატონივით თბილი და ლამაზია.

„ჩემო ავლადიდებავ“, „თურმე როგორ მყვარებიხარ“, „დავდივარ, დაგეძებ“, „ქალი თავნება“ და „ფარვანა“... რომელი ერთი უნდა ჩამოთვალო. ნანა მესხი თავის სიმღერებში ძალიან ლამაზად გადმოსცემს ყველაფერს, რასაც განიცდის. სხვათა შორის, ეს მორიდებული ქალბატონი სიმღერების ავტორს უწოდებს თავს და არა კომპოზიტორს, არადა, ასობით სიმღერა აქვს დაწერილი.

ნანა მესხმა ერთი ლამაზი სიმღერის („დავაგვიანე“) შექმნის ისტორიაც გაგვანდო, რომელიც პატარა ნიცას შეძენის დღეებში დაწერა სამშობიაროში და, რა თქმა უნდა, ნანატრ ქალიშვილს მიუძღვნა. ექსპრომტად დაწერილი ეს სიმღერა როცა გვიმღერა, პატარა ნიცა აიყვანა სცენაზე.

კვარტეტმა შეასრულა ანსამბლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის - დაჩი ბახუაშვილის, ასევე მისი მამის ამირან ბახუაშვილის სიმღერები.

ამ რამდენიმე ხნის წინ ნანა მესხმა პატარა ბროშურა გამოსცა - „და-ნარჩენები“, რომელიც დედას მიუძღვნა. ამ კრებულიდან წაიკითხა პატარა მოგონება და აღნიშნა, რომ იგი დააწერინა ოჯახურმა ტკივილმა და განცდამ, რომელიც არაერთი წელი გრძელდებოდა (კრებულის წინასიტყვაობა აკა მორჩილაძეს ეკუთვნის).

დარბაზი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს ხელოვანებს, რომლებმაც თავიანთი საუკეთესო გამოსვლით ეს ნამდვილად დაიმსახურეს. ნანა მესხმა და მისმა მეგობრებმა მოგვიტანეს სიყვარულის, სიხარულის თბილი სიმღერები, რომლებიც დარბაზმა სათანადოდ შეაფასა.

კონცერტის ბოლოს სტუმარ-მასპინძლის რამდენიმე შთაბეჭდილება ჩავიწერეთ.

მაია სურმანიძე, ბათუმელი:

- დიდი მადლობა ყველას, ვინც ბათუმელებს ეს ლამაზი, ქალაქური სიმღერების საღამო მოგვიწყო, მათ შორის აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, თავად ნანა მესხსა და კვარტეტს. ყოველთვის მოხარული ვართ მასთან შეხვედრით.

მაია ხაჯიშვილი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი:

- ისე არაფერი უხდება წვიმიან ბათუმს, როგორც ქალაქური სიმღერები და დღეს სამინისტრომ ბათუმს აჩუქა ეს თბილი საღამო. სტუმრებმა შემოგვთავაზეს როგორც ჩვენი კლასიკოსი კომპოზიტორების, ისე მესხის სიმღერები. სამინისტრო აუცილებლად გააგრძელებს მსგავსი ღონისძიებების ორგანიზებას და ამ ზაფხულში ბათუმელებს და მის სტუმრებს შევთავაზებთ კიდევ არაერთ დასამახსოვრებელ საღამოს.

ქეთევან მანელიშვილი, მუსიკოსი:

- ძალიან სასიამოვნოა ნიჭიერი ადამიანის სიმღერების მოსმენა. კონცერტს ძალიან ბევრი მუსიკოსი ესწრებოდა. ნანა მესხმა და კვარტეტმა ღირსეულად დაიმსახურეს ოვაციები. ისინი ჩვენგან პატივისცემისა და სიყვარულის ღირსნი არიან.

ლუკა ანთიძე, კვარტეტის წევრი:

- დღეს ის უდიდესი ემოციები მივიღეთ, რომელიც ძალიან გვაკლდა. პანდემიიდან გამომდინარე, დიდი ხანი იყო პაუზა. ბედნიერები ვართ, ეს ყველაფერი რომ ბათუმიდან დავიწყეთ. აქ არის სითბო, მზე, მაშინაც როცა წვიმს, სიყვარული. „თბილისური კვარტეტი“ ნებისმიერ დროს მზადაა, ჩაატაროს არაერთი კონცერტი. ყოველთვის ვართ მოტივირებულები, რომ ხალხს, მსმენელს ვასიამოვნოთ. ნანა მესხთან მარტო სიმღერა არ გვაკავშირებს, ის უთბილესი და ძალიან ღრმა ადამიანია და მიხარია, რომ დღეს „თბილისურ კვარტეტს“ ასეთი უღალატო მეგობარი ჰყავს.

თეიმურაზ რიჟამაძე, კვარტეტის წევრი:

- დღევანდელი დღე განსაკუთრებულია, რადგან სასწაული ემოცია, სითბო გამყვება თან. ღვთის საჩუქარია, რომ პირველი შეხვედრა მსმენელთან ბათუმში შედგა. ეს სითბო და სიყვარული სულ ჩემთან იქნება.

ნანა მესხი:

- უზომოდ ვღელავდი, რაც დასაწყისში მეტყობოდა კიდეც, მაგრამ დარბაზმა პირველივე წუთებიდან მოგვცა იმის საშუალება, რომ „ამოგვესუნთქა“ და „მეორე სუნთქვით“ ამ სამი წლის იძულებითი გაჩერების შემდეგ, ქალაქური სიმღერების პირველი საღამო, რომელსაც „სიყვარულით ბათუმს“ ვუწოდეთ, ამ შესანიშნავ თეატრში ჩატარდა. მადლობა მაყურებელს, რომ ამ სითბოსა და სიყვარულის მიღების შანსი მოგვცა. უზომოდ მიყვარს ბათუმი, თბილად მახსოვს ხელოვნების ცენტრში ჩატარებული ჩემი საღამოები. ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ ასეთი შეხვედრის შემდეგ.

მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს მაყურებელს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო თეატრს, მუსიკალურ ცენტრს, ყველას, ვისი თანადგომითაც შედგა ეს საღამო.

ზღვა ემოცია „ზღვის შვილებისგან“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„დღევანდელი კონცერტი არის კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ბათუმი არის შემოქმედების, მუსიკის ქალაქი, სადაც სულ ემღერება სულს“, „უდიდესი სიამოვნება მივიღე, საოცრად ნიჭიერი ახალგაზრდები გვყავს, რომელთა სიმღერა სწვდება გულს და გაფორიაქებს“, „მართლა როგორ მოგვნატრებია ერთმანეთი, როგორ გვაკლდა სულიერი საზრდო. სისავსის შეგრძნებით ვბრუნდები სახლში“ - ასეთი ემოციები გაგვიზიარეს სტუდია „ზღვის შვილების“ კონცერტის შემდეგ დარბაზში დამსწრე მაყურებლებმა, რომლებსაც შესაძლებლობა ჰქონდათ, თითქმის ორი საათის განმავლობაში მოესმინათ ცოცხლად შესრულებული მუსიკა და დამტკბარიყვნენ საინტერესო რეპერტუარით

პანდემიის გამო თითქმის ორწლიანი პაუზის შემდეგ ხელოვნებისა და კულტურის მოყვარულთათვის თითოეული გემოვნებიანი ღონისძიება იმ დანაკლისის შევსებაა, რაც ამ დროის განმავლობაში გაჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ სტუდია „ზღვის შვილების“ კონცერტი ნამდვილად იმსახურებს ზღვა აპლოდისმენტს, პირველ რიგში, იმის გამო, რომ სტუდიაში მისულ თითოეულ ბავშვს უყალიბებენ სწორ მუსიკალურ გემოვნებას, რაც იგრძნობა მათ სიმღერასა და შესრულების ტექნიკაში.

როგორც „ზღვის შვილების“ დირექტორმა ნათია ინაიშვილმა გვითხრა, მათი მიზანია, არასდროს დაწიონ თამასა, ბათუმს და, ზოგადად, საქართველოს აღუზარდონ თაობები, რომლებიც თავიანთი ნამღერით წარმატებებს მიაღწევენ სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსში და ასახელებენ ქვეყანას, ქალაქს. აღსანიშნავია, რომ სტუდიის არაერთ მონაწილეს სხვადასხვა დროს არაერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება და აღიარება მოუპოვებია, რაც ბათუმს და ბათუმელებს კიდევ ერთხელ გვიმძაფრებს სიამაყის განცდას:

- ორი წელია, სცენაზე არ ვმდგარვართ. რაღაცნაირი განცდაა, ღელავ, ელოდები საზოგადოების რეაქციას, რომ დარწმუნდე, ყველაფერი რიგზეა თუ არა. თუ თითოეული გამომსვლელის შემდეგ მაყურებლის ოვაციებით ვიმსჯელებთ, ეს ყველაფერი შედგა. „ზღვის შვილების“ ჩანაფიქრი - განსაკუთრებული სიყვარულით მოვფერებოდით მონატრებულ მსმენელს, გამოვიდა და ამით ბედნიერი ვარ. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად პანდემიისა, არ გავჩერებულვართ, ვმუშაობდით და გავაკეთეთ პროექტი „ზღვის შვილები მეგობრებთან ერთად“. იმდენად კარგი კოლაბორაცია შედგა, შეუძლებელი იყო ეს არ გვეჩვენებინა ფართო აუდიტორიისთვის. მინდა თითოეულ ადამიანს, მუსიკოსს, ვინც წვლილი შეიტანა ჩვენი კონცერტის ასე გამრავალფეროვნებაში, მადლობა გადავუხადო. ეს ნამდვილად იყო „ზღვის შვილების“ მასშტაბური დაბრუნება პანდემიის შემდეგ. ჩვენ არ გვინდა თამასა დავაგდოთ, „ზღვის შვილებს“ ყოველთვის ეთქმოდა ამ ქალაქში თავისი სიტყვა და ასე გავაგრძელებთ, შევეცდებით, რომ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეთ, - აღნიშნა სტუდია „ზღვის შვილების“ დირექტორმა ნათია ინაიშვილმა.

კონცერტი ყველასათვის საყვარელ მუსიკოსსა და „ზღვის შვილების“ ერთგულ მეგობარ ხვიჩა მაღლაკელიძეს მიჰყავდა, რომელმაც გაზეთ „აჭარასთან“ ის ბედნიერი წლები გაიხსენა, როცა თავად იყო ამ სტუდიის მოსწავლე:

- უპირველესი, რაც ჩემთვის საამაყოა, რასაც ყოველთვის აღვნიშნავ და რის გამოსწორებას ვაკეთებინებ სხვებს ამ სტუდიაზე, არის ის, რომ აქ ბავშვები ცოცხლად მღერიან. წარმოიდგინეთ, როგორი რთულია ერთი და ორი საათი ცოცხალი შესრულებით იდგე სცენაზე. დღეს ისეთი რეპერტუარით წარსდგნენ ბავშვები, დაწყებული ქალაქური სიმღერებით, დამთავრებული „პინკ ფლოიდით“, შეუძლებელია ეს ყველაფერი ასეთ ხარისხში გააკეთო, თუ არ გიყვარს მუსიკა და მთელ ძალისხმევას არ დებ მასში. ეს ბავშვები რომ არაჩვეულებრივები არიან, ქალბატონების ნონა დიასამიძისა და ნათია ინაიშვილის დამსახურებაა. ხუთი წლის ვიყავი, როცა „ზღვის შვილებში“ მივედი, თუმცა მაშინ შემოქმედებითი ჯგუფი იყო და „ია“ ერქვა, სადაც ნიჭიერ ბავშვებს ეძებდნენ. მას შემდეგ შეყვარებული ვარ ამ სტუდიაზე და ვცდილობ, ყოველთვის გვერდით დავუდგე. ძალიან დიდი მადლობა ეკუთვნის სტუდია „ზღვის შვილებს“, სადაც პატარაობიდანვე უნერგავენ მუსიკის სიყვარულს ბათუმელ ბავშვებს. ზღვა წარმატებასა და უამრავ საინტერესო წელს ვუსურვებ მათ.

ხვიჩა მაღლაკელიძის მსგავსად, სტუდიას მადლობა გადაუხადა ქეთევან მანელიშვილმა. მისი თქმით, მართალია, ძალიან ბევრი კარგი სტუდიაა ბათუმში, მაგრამ „ზღვის შვილები“ ერთ-ერთი მოწინავეა, სადაც ბავშვებს ხარისხიან მუსიკალურ გემოვნებას უყალიბებენ, რამაც გადააწყვეტინა, რომ მისი შვილიშვილი სწორედ აქ მიეყვანა.

კონცერტის შემდეგ შთაბეჭდილებები გაგვიზიარა „ზღვის შვილების“ წევრმა, არაჩვეულებრივი ხმის მქონე თეკლა ჩაგანავამ:

- სტუდია „ზღვის შვილებში“ 6 წელია, ვსწავლობ, ეს ჩემთვის მეორე ოჯახია. სიტყვებით ვერ აღვწერ, ამ სტუდიაში რა სითბო და სიყვარულიც გვაქვს ერთმანეთის მიმართ. აქ შემაყვარეს მუსიკა ისე, რომ სხვაგან ვერსად წარმომიდგენია თავი, მინდა მუსიკას გავყვე ბოლომდე. მადლობა დღევანდელი კონცერტისთვის, მადლობა დამსწრე საზოგადოებას გულწრფელი აპლოდისმენტებისთვის.

კონცერტის მონაწილეებს, განსაკუთრებით კი ბათუმელ მომღერლებს, რომლებმაც „ზღვის შვილების“ წევრებთან ერთად შეასრულეს სიმღერები, მადლობა გადაუხადა სტუდიის მუსიკალურმა ხელმძღვანელმა ნონა დიასამიძემ:

- პანდემიიდან გამომდინარე, როგორც ყველას, ასევე ჩვენც გვქონდა დიდი პაუზა, ამ დროის განმავლობაში სცენა გვენატრებოდა. ერთი წლის ერთობლივი მუშაობის შედეგი იყო ეს კონცერტი. ძალიან ბედნიერი ვარ დღეს, ბავშვებმა მაქსიმალური გააკეთეს და კარგი შედეგი დადეს. აუცილებლად მინდა მადლობა გადავუხადო, „ზღვის შვილების“ მეგობრებს, ჩვენს მუსიკოსებს, მომღერლებს ავთო აბესლამიძეს, გიორგი ნაკაშიძეს, ორ სულხან დევაძეს, ირაკლი სირაბიძეს, იაგო დევაძეს, ქრისტი შუშაძეს, ბენდს, ნიკა აბაშმაძეს, მამუკა ქათამაძეს, ლაშა ქათამაძეს და, რა თქმა უნდა, ჩვენს ერთგულ ხვიჩა მაღლაკელიძეს. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ მაყურებელს, ზღვა ემოციით ვარ დატვირთული. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ „ზღვის შვილები“ ვემზადებით საიუბილეო კონცერტისთვის, რომელიც წელიწადნახევარში შედგება და ვპირდებით ჩვენს ერთგულ მსმენელს, რომ ეს კონცერტი კიდევ უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო იქნება, რომელშიც სტუდიის აღზრდილი ყველა თაობა ჩაერთვება.